წელიწადი მესამე   ფასი 7 კაპ.   ოთხშაბათი, 26 აპრილი, 1917 წ.

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

ტელეფონი 15—73

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათისშემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი დამატებიანი № ღირს უვედგან 10 კაპ

№ 89   ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი   № 89

გაზეთი
„საქართველო“
ღირს:

მთელის წლით—15 მ., ½ წლით—9 მ., 3 თვით—5 მ., 1 თვით—1 მ.80კ.

წლიურ ხელის მოწერის ფასი შეიძლება ნაწილ-ნაწილად იქნას გარდახდილი შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს—7 მ.; 1 მარტისთვის 5 მ. დ 1 ივნისისათვის 3 მ. მისამართის გამოცვლისათვის ქალაქგარეთელმა ხელის მომწერმა უნდა წარმოადგინოს 50 კ. ფოსტის მარკით.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76 (почт. ящикъ № 76).

კანტორა ღიაა: დილით 9—3 საათამდე, საღამოს 5—7საათამდე.

1 აპრილიდან წლის ბოლომდე გაზ. „საქართვ.“ ღირება 11 მ.—25 კ.

ვისაც სურს ხელისმოწერის ფასის განაწილებით ისარგებლოს, ხელის მოწერისათანავე 5 მ. 75 კ. უნდა წარმოადგინოს, დანარჩენი კი 1 მარტს და 1 ივნისს, უკვე გამოცხადებულის საერთო წესის მიხედვით.

რედაქტორი: გრიგოლ ვეშაპიძე.

გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირი.

აპრილის 30, 1917 წლისა, ახალ კლუბის შენობაში დანიშნულია ქართულ თეატრის მსახიობთა ყრილობა

საპროფესიო კავშირის
დასაარსებლად.

სხვა ქალაქებში მყოფ ქართველ მსახიობთ, რომელთაც ოდესმე უმსახურნიათ ან ეხლა მსახურებენ ქართულ თეატრში, ვთხოვთ ამ დღისათვის მიუცილებლად ჩამოვიდნენ ქ. თბილისს.

ყრილობა დაიწყება დილის 11 საათზე.

რჩეულნი: ანდრონიკაშვილი კ., დადიანი შალვა, შალიკაშვილი ვალ.

(6—661—2)

თედო ღლონტის წიგნი
ავტონომია და ფედერაცია
(კრებული რჩეულ დაბეჭდილ და დაუბეჭდავ წერილებისა).

ღირს ხელის მოწერით 2 მან. 50 კაპ., საბაზროდ—3 მან. წიგნი შეიცავს 350—400 გვერდს, ავტორის სურათს და წინასიტყვაობას. **გამოცემისათვის ქაღალდი და მასალა დამზადებულია.** წიგნი დარიგდება აგვისტოში. **ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ 15 ივნისამდე.**

ხელის მოწერა მიიღება:

თბილისში—„სახალხო ფურცლის“ რედაქციაში.
„ ქ. შ.წ.-კ. გ. საზ. მაღაზიაში.
„ კოოპერატივ „მეურნე“ ში.
„ სოსიკო მერკვილაძის წიგნის მაღაზიაში.
„ ს.-ფ. კომიტ. სადგომში.
ზუგდიდში—მ. ხ. მდივნთან.
ახ-სენაკში—„სახ. ფ.“ აგენტთან—ჩიგოგიძესთან.
ფოთში—სვ. ორაგველიძესთან.
აბაშაში—ა. მიქაძესთან.
სამტრედიაში—პრ. გელეიშვილთან
გორში—მაისურაძის წიგ.მაღაზიაში
სახერეში—გ. ქავთარაძესთან.
თელავში—ბაბო სულხანიშვილთან.
ახალციხეში—ვერა ხარებოვთან.
სიღნაღში—წერა-კითხვის წიგნის მაღაზიაში.
ლანჩხუთში—შ. ვადაჭკორიასთან.
ოზურგეთში—ალ. მხეიძესთან.
სოხუმში—„დიოსკურიაში“.
„ სახ. უნივერსიტ. კიოსკში.
ჩოხატაურში—გ. თევდორიძესთან.
სარიყამიშში—გ. ჭუმბურიძესთან.
ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან.
„ თ. მთავრიშვილთან.
ალექსანდროპოლში—ვ. კულულაშვილთან.

სხვა ადგილი და პირი შემდეგ გამოცხადდება. ნისიათ და ნაწილად ხელის მოწერა არ მიიღება, ვინაიდან წიგნი მოკლე დროში დაიბეჭდება. ფოსტით გამოწერა შეიძლება ასე: Тифлисъ, ред. „Сахалхо Пурцели“ для Ѳ. Глонти. (3—663—1)

შაბათს, 29 აპრილს, ნაშუადღევის პირველ საათზედ
სახელმწიფო თეატრში
დანიშნულია
საზეიმო ეროვნულ-კულტურული კრება
ვალერიან გუნიას
პატივსაცემად და 35 წლის მოღვაწეობის საჯაროდ აღსანიშნავად
სამწერლო, სასცენო და საზოგადო ასპარეზზედ.
1882—XXXV—1917

დაწვრილებით პროგრამა ცალკე გამოცხადდება.

ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში.

საზეიმო კრების მომწყობნი { **ქართული დრამატ. საზოგადოების გამგეობა, საჯარო პატივცემის მომწყობი კომიტეტი და ქართველ მსახიობთა კორპორაცია.**

იმავე დღეს საღამოს იმავ თეატრში
სადღესასწაულო წარმოდგენა
(12—645—8)

ამიერ-კავკასიის საოლქო სამხედრო სამრეწველო კომიტეტი აცხადებს, რომ კომიტეტისთვის
საჭიროა წითელი ღვინო
პარტიობით.

სამრეწველოებს და კერძო პირთ, ვისაც სურს მოგვაწოდოს ღვინო, ვთხოვთ გვაცნობონ წერილობით; აღნიშნულ უნდა იყოს ღვინის ფასი (ჭურ-ჭლით), და სადგური საიდგანაც იგზავნება ღვინო. ღვინის ნიმუშიც გამოგზავნილ იქნას ნივთეულობის საწყობის განყოფილებაში, ამიერ-კავკასიის საოლქო სამხედრო-სამრეწველო კომიტეტში, ვერის დაღმართი № 12, სახლი ანანოვისა. (3—659—3)

მიიღეთ ფრანგულ აბრეშუმის ჭიის თესლი
ცნობილ ფირმებისა
ბერთესი
და
ჩვენ მიერ საკუთრად შეკვეთილი ოთხკუთხიან კოლოფებში.

კოლოფებზე გამოხატულია სამფეროვანი ფრანგული ბაირაღი და შავი არწივი ყვითელ ფონზე. მიმართეთ: **ტ. ს. მირზაიანცს,** თბილისი, განოვის ქ. № 8. ტელეფონი 13—58. ტელეგრამით ტიგრან მირზაიანცს, თბილისში. (10—576—10)

თბილისი, 26 აპრილი.

იერიშები რევოლუციაზე

საძნელოა ამ საერთო გარდაქმნის დროს ზომიერების დაცვა. რევოლიუციური სტიქიონი გონიერ სიფრთხილეს ხშირად ღალატობს. ის აღფრთოვანებით და გრძნობებით იკვებება. მიუხედავად ამისა რევოლიუციის შინაარსს საერთოდ მაინც მუდამ შეადგენდა აზრი, იდეა, გონიერი მისწრაფება. რა ჟამს რევოლიუციას სტოვებს ასეთი იდეალი, ის ამბოხებად, ბუნტად იქცევა.

დაგვიფაროს განგებამ, რომ რუსეთის რევოლიუცია ასეთის გზით წავიდეს. ეს იქნებოდა რუსეთის ჯერ ნორჩი თავისუფლების დასამარება, დიდი პოლიტიკური და სოციალური უბედურება. რუსეთის დემოკრატია შეგნებულად უნდა ებრძოდეს ასეთს განსაცდელს, რომელიც მას ევლინება როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნივ.

რუსეთის რევოლიუციის იდეა პოლიტიკური თავისუფლებაა. უფლებრივი სახელმწიფოებრივი წყობილებისა, მოქალაქობრივი თავისუფლებისა და თანასწორობის დამყარება შეადგენს მის მიზანს, მის შინაარსს. ვინც ებრძვის ამას, ის რევოლიუციის შეგნებული მტერია, მაგრამ ვინც ივიწყებს ამას, ისიც მისივე შეუგნებელი მტერი და მოღალატეა. რევოლიუცია მეფის ტახტიდან ჩამოგდებით დაიწყო, ამასთან ერთად გაუქმდა ძველი მონარქიული წყობილების ყველა საფუძვლები. მთელი სახელმწიფოებრივი ძალა უფლება დროებით რევოლიუციონურ ძალებს გადაეცა. მხოლოდ დროებით, ვინაიდან რუსეთის სახელმწიფოებრივ ცხოვრების უფალ-პატრონი თვით რუსეთის ხალხია. ის შექმნის თავის წარმომადგენლების კრებულს, მისი სურვილებისა და ნებისყოფის გამომხატველს.

რევოლიუცია დასრულდება ასეთი კრებულის, დამფუძნებელი კრების მოწვევით. სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ტახტს, რომელიც აქამომდე რომანოვთა გვარეულობას ძალმომრეობით ეპყრა, დაიჭერს თვით თავისუფალი ხალხი, თავის ცხოვრების სრული მმართველი, ბატონი და კანონმდებელი.

ამის შემდგომ დაიწყება რუსეთის მშვიდობიანი ცხოვრება, ერის ქონებისა და სულიერ ძალთა დაჩქარებული ზრდა-განვითარება, აყვავება.

ნუ თუ რუსეთის დემოკრატია ასცილდება ამ ნათელს, რევოლიუციონური ცეცხლით გაშუქებულ გზას და ასპარეზს დაუთმობს ბნელს ძალებს, ბნელ გრძნობებს და ინსტიქტებს. ეს ბნელი ძალები რუსეთს ხშირად რევოლიუციისა და საერთო თავისუფლების სახელით მოევლინებიან. „მიწა და თავისუფლება“, „ძირს ჩვენი სისხლის მწოველი ბურჟუები“ და სხვა ასეთი მოწოდებები ხშირად ამშვენებს მათ დროშებს. ისინი მოუწოდებენ ხალხს დღესვე დაიყონ სხვისი მიწები, ფაბრიკა-ქარხნები, ქალაქისა და სოფლის მამულები. რევოლიუციის მტრებმა კარგად იციან, რომ ასეთი იდეები საუკეთესო საწამლავი იქნება ჯერ ნორჩი თავისუფლებისათვის. მხოლოდ ამით შეიძლება დღეს საერთო მოქალაქეობრივი ომის გამოწვევა, საყოველთაო არევ-დარევა, რაც ხელსაყრელია რევოლიუციის მტერთათვის.

რუსეთის რევოლიუციას ხიფათს უმზადებენ, როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნივ. რუსეთის დემოკრატიას დიდი სიფრთხილე ჰმართებს.

არაფერი შველის ივერიის ეკლესიას

რუსეთის დროებითმა მთავრობამ ბევრს ეროვნული თავისუფლებაც გაუზომა. ფინეთმა და პოლონეთმა მისგან ეს თავისუფლება პირველად მიიღეს. სხვებმა რა დაინახეს, რომ დროებითი მთავრობა მათთვის თავს არ იტკივებდა და არავითარ თავისუფლებას თავაზობდა, თვით გამოიდვეს თავი თავიანთი საქმისთვის; ყოველა მათგანი ეროვნულად დაირაზმენ; ერის ყოველი ნაწილი თითეულს მათგანში ერთმანეთს შეედუღა; თითეული მათგანი როგორც ერთი კაცი ისე ფეხზე დადგა, განუცხადა დროებითი მთავრობას, ეროვნულ დამფუძნებელ კრებას ვიწვევთ და მისგან კატეგორიულად ერთი და იგივე მოითხოვა: ეროვნული თავისუფლება. და მთელის ერის ასეთ გადაჭრილ და ერთსულოვან მოთხოვნის წინაშე დროებით მთავრობას დათანხმებისა და დასტურის მეტი არაფერი ეთქმოდა და ასედაც მოიქცა. ესტონებმა, ლიტველებმა და უკრაინელებმა ამ გზით მიაღწიეს იმ გარემოებას, რომ ისინი ამ თავითვე ეწყობიან ავტონომიურ მართვა-გამგეობის განახორციელებლად. თუმცა არც ისე გასაკვირია, რომ რევოლიუციურმა მთავრობამ უფლება ახდილ ერებს თავისუფლება მიულოცა, მაგრამ, თუ სახეში მივიღებთ, რომ ამით მპყრობელი რუსის ერის საბრძანებელი მეტად ვიწროვდებოდა და უქმდებოდა რუსეთის ასწლობით განმტკიცებული იმპერიალისტური ბატონობა, უნდა აღვიაროთ, რომ დროებითმა მთავრობამ ყოველსავე შემთხვევაში რადიკალური ნაბიჯი გადადგა. მან დასთმო ამ ქვეყნებზე რუსეთის პოლიტიკური მბრძანებლობა. აბა ამასთან რა შესადარებელი უნდა ყოფილიყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის აღდგენა. ეკლესია ხალხის სარწმუნოების საქმეა და სარწმუნოებრივ-ეკლესიურად ავტოკეფალური ერი, პოლიტიკურად სხვისი ქვეშევრდომი შეიძლება იყოს. ერთი მეორეს ხელს არ უშლის. ძალა-უფლობის პოლიტიკური დეცენტრალიზაცია თან სრულებით არა სდევს რომელიმე ერის ეკლესიის ავტოკეფალობის აღდგენას. ამის ისტორიულ საბუთად ის გარემოებაც კმარა, რომ იმპერატორმა ნიკოლოზმა პირველმა, რომელიც ცოცხალი განპიროვნება იყო სასტიკ პოლიციურ და ცენტრალისტურ მართვა-გამგეობის სისტემისა, შესაძლოთ დაინახა გამოცემა 1836 წლის „დებულების“ სომხურ ეკლესიის ცხოვრების მოსაწყობათ რუსეთის იმპერიაში და რუსეთის მთავრობისა და სომხურ ეკლესიის ურთიერთობის გამოსარკვევად. ამ დებულების წყალობით სომხური ეკლესია ავტოკეფალურია, ჰყავს თვისი კათალიკოსი და ამ ეკლესიის მოვლა-პატრონობა სულ ერთიანად სომხის ხალხს ეკითხება. სომეხთა ეჩმიაძინის პატრიარქ-კათოლიკოსს ირჩევს მთელი სომხობა, რომელიც აღიარებს გრიგორიანულ სარწმუნოებას. ამ დებულების ძალით, სომეხთა ეკლესიის მთავარი გამგებლობა და უმაღლესი მეთვალყურეობა, როგორც ამ ეკლესიის სამღვდელოებაზე, ისე გრიგორიანთა სარწმუნოების წესების სწორედ აღსრულებაზედ მიკუთვნილი აქვს სრულიად სომეხთა ეჩმიაძინის უმაღლეს პატრიარქ-კათალიკოსს. ერთი სიტყვით, სომეხთა ეკლესიის ავტოკეფალობა რუსეთის თვითმპყრობელობამ იმ დროსაც კი შეიწყნარა, როდესაც რუსეთში გაბატონებული იყო ნიკოლოზ პირველის სუსხიანი და სულის შემხუთველი რეჟიმი—ეს იმიტომ, რომ ეკლესიის ავტოკეფალობა თვის შინაარსით და ბუნებით თვითმპყრობელის აბსოლუტურ პოლიტიკურ ბატონობას სრულებით არა ჰკვეცდა.

ეტყობა, რომ საქართველო და ქართული ეკლესია უბედურ ვარსკვლავზეა დაბადებული. მას არამც თუ ნიკოლოზის პირველისა ან მის შემდგომ ხელმწიფეთა რეჟიმის დროს ეშველა რამე, არამედ არც რუსეთის სამეფო დინასტიის დამხობისა და ხალხის წარმომადგენელთა მართველობის დროს! საქართველოს ეკლესიას მტრულად ეპყრობოდა არა მარტო რუსეთის თვითმპყრობელობა. საქართველოს ეკლესიას მეგობრულად არც ახალმა მთავრობამ შეხედა. რუსეთის რევოლიუციამ, რომელიც პოლიტიკურ და სოციალურ ლიკვიდაციასაც ლამობს და რომელმაც ბევრ სხვა ერს ეროვნული მონობაც კი ახადა, იმდენი ვერ შესძლო, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობა მიუკიბ-მოუკიბავად ეცნო და ეს უბრალო საკითხი ერთის მოქნევით გადეჭრა. ჩვენ ვიცით, რომ დროებითმა მთავრობამ დიდის შეძრწუნებით შეხედა საქართ. ეკლესიის ავტოკეფალობის აღდგენას და 12 მარტის აქტს ცოტა დააკლდა, რომ დროებით მთავრობას ეს აქტი არ გაებათილებინა და საქართველოს ეკლესია იმავ მონობაში არ ჩაეგდო, რა მონობაშიაც ჰყავდა იგი რუსეთის თვითმპყრობელ მეფეებს. სულ რამოდენიმე მინისტრის თავგამოდებას უნდა ვუმადლოდეთ, რომ 12 მარტის აქტი ოფიციალად იცნეს. ზოგი მინისტრი თმასაც კი იწეწდა თურმე, როგორ შეიძლება, რომ საქ. ეკლესიას ავტოკეფალობა მიენიჭოსო, ეს ხომ საქ. პოლიტიკურ ავტონომიისკენ წაგვიყვანსო! ასე სადავიდარაბოთ გადააქციეს ავტოკეფალობის უბრალო საკითხი და ამავე დროს სხვებს პოლიტიკურ ავტონომიებზედ თანხმდებიან.

გასაოცარი განსხვავებაა!

ჩვენი არც უფლება ფასობს და არც არავითარი ამაგი. რომელ ერის შვილებს მიუძღვის იმდენი სამსახური რუსეთის დემოკრატიისა და რევოლიუციის წინაშე, რამდენიც საქართველოს შვილებსა? რუსეთის რევოლიუციურ დემოკრატიას დღეს მხოლოდ სამი ქართველის: ჩხეიძის, რამიშვილის და წერეთელის ხმითა და სახით იცნობენ ჩვენი პლანეტის ძველი და ახალი ქვეყნები. მაგრამ ჩვენი კაკალიც არ ჩხრიალობს! საცოდავ ავტოკეფალიაზედ ლამის არის სული ამოგვხადონ.

ავტოკეფალიის დაუძინებელი მტერი და ძველი რეჟიმის სულიერი ბურჯი ამიერ-კავკასიაში, ნაეგზარხოსალი პლატონი, საქართველოს არ მოაშორეს და ხელ-ფეხი გახსნილი დაუტოვეს ყოველგვარი შუღლისა, ბოროტებისა და პროვოკაციის სათესად. შეურაცყოფილი საპატიო თანამდებობიდან გადაყენებითა და დაუძინებელი მტერი საქ. ეკლესიის ავტოკეფალობის, ნაეგზარხოსალმა პლატონმა შურისძიებისა და სიავის მეტი რა უნდა გაიმეტოს საქ. ეკლესიებისთვის და რომ საქვეყნოდ დაამტკიცოს მავნებლობა საქ. ეკლესიის ავტოკეფალურ პრაქტიკასა, ჩუმ-ჩუმად და ქვეშ-ქვეშა რას უნდა აწყობდეს თუ არ იმას, რომ რუსის სამღვდელოება ქართველ სამღვდელოებას გადაჰკიდოს, და რუსის მრევლი—ქართველ მრევლს. და პროფესორი ბენეშევიჩი, რომლის ჩამოსვლას ქართველი მორწმუნე მრევლი დიდის სიამოვნებით უცდიდა, რადგან სწამდა, რომ იგი უმტკივნეულოდ მოაგვარებდა მრავალ ტანჯულ საქართველოს ეკლესიას, სცხოვრობს ნაეგზარხოსალ პლატონთან და მის რჩევა-დარიგებას ისმენს! ნუ თუ ესეც იმიტომ არის ჩადენილი, რომ ქართველი საზოგადოების სარწმუნოებრივი გრძნობა უკეთ დაამშვიდოს?!! ერი არ არის, რომ ისეთი ტანჯული და გაწამებული ეკლესია ჰქონდეს, როგორიც არის ქართული ეკლესია. ქრისტეს მეორე ეკლესია არ მოიძებნება ცის ქვეშ ისეთი, რომელიც მის სახელითა და მის გულისთვის ისე ჯვარცმულიყოს, როგორც ქართული ეკლესია!

ქართველ ხალხს უყვარს ქრისტე და მისთვის წამებული საქართველოს ეკლესია. იგი მოითხოვს, რომ პატივით და ფრთხილად მოეპყრან მის სარწმუნოებასა და ეკლესიას. სინიდისის თავისუფლებაა და მორწმუნე ქართველობა მოითხოვს, რომ მისი სინიდისიც და ეკლესიაც თავისუფალი იყოს. უნდა მოისპოს ბნელი შეთქმულობა და საქმიანობა საქ. ეკლესიის ავტოკეფალობის გარშემო, უნდა ლოიალურად იქმნას ცნობილი მისი ავტოკეფალობა და მიეცეს ყოველგვარი ძალა და საშუალება ავტოკეფალურად თავის თავის მართვისა. ვინც მეგობარია განმათავისუფლებელი რევოლიუციისა და სინიდისის თავისუფლებისა იგი შეუძლებელია წინააღმდეგი იყოს რომელიმე ეკლესიის ავტოკეფალობისა. გვინდა ვიცოდეთ, კერძოდ საქართველოს ეკლესიის მიმართ ეს შეუძლებელიც შესაძლებელი გახდება თუ არა?

მონობის მთავრობა ჰკლავდა ივერიის ეკლესიას, გვინდა ვიცოდეთ, თავისუფლების მთავრობა მას მისცემს შვებას თუ არა?

ძველი ქართველი.

პრესა

ბოლშევიკები და მენშევიკები.

პეტროგრადის ბოლშევიკებისა და მენშევიკების შორის ამტყდარ დავას თბილისელი სოციალ-დემოკრატებიც გამოეხმაურნენ. მუშათა საბჭომ დადგენილება გამოიტანა, რომ კონფისკაცია უყონ ბოლშევიკურ გაზეთ „პრავდას“ და „კავკასკი რაბოჩის“ წინააღმდეგ მიღებულ იქმნას შესაფერი ზომები.

გაზეთი **„კავკასკი რაბოჩი“** კვირის №-ში ეხება ამ საკითხს და სწერს, რომ ბოლშევიზმისა და გარსაკუთრებით „პრავდის“ წინააღმდეგ ატეხილი ბურჟუაზიულ დევნას თბილისელი მენშევიკებიც აჰყვნენ და მიაღწიეს იმას, რომ მუშათა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა იერიში დაიწყო „კავკასკი რაბოჩის“ წინააღმდეგ და „პრავდას“ კონფისკაციაც უყვეს. ეს ფაქტი უაღრესად და დასაგმობია და ჩვენში აღშფოთებასა და პროტესტს იწვევს.

ბოლშევიკებმა და ყველა ჭეშმარიტმა რევოლიუციონერებმა—მუშებმა და ჯარის-კაცებმა სასტიკი წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ ამ მუშათა პრესის წინააღმდეგ გალაშქრებას“.

⁂

ქალანთარის სააგენტო.

გაზეთი „პეტრ. ვედომ.“ „ვინმე“ „საქართველოს“ მკითხველი აღნიშნავს პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს თბილისის განყოფილების მიერ გაგზავნილ პროვოკაციულ დეპეშას, თითქოს ქართველი ნაციონალისტები ქუთაისში თავისი გამოსვლებით სარევოლიუციო ძალებს ასუსტებენ და სწერს, რომ

„როდესაც ომის დასაწყისში პ. ტ. ს. ვიცედან პროვოკაციული დეპეშა გაუგზავნა მთელ რუსეთს. საქველ-მოქმედო საზოგადოების ყოფილმა თავმჯდომარემ თ-დმა ვ. ს. მიქელაძემ მაშინვე დაუყონებლივ მოსთხოვა სააგენტოს უარეყოთ ის ტყუილი ცნობა და სააგენტომაც დაუყონებლივ შეასრულა ეს მოთხოვნილება. ხსენებული პირი ეხლა პეტროგრადში არ იმყოფება, მაგრამ არსებობს განსაკუთრებული ქართული კომიტეტი, რომლის უმთავრესი მოვალეობაა საქართველოს ცხოვრების შესახებ მთავრობისადმი სწორი ცნობების მიწოდება. ვინაიდან დეპეშათა სააგენტომ გაიმეორა თავისი პროვოკაციული გამოსვლა, ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ კომიტეტს არავითარი ზომები არ მიუღია ქართველ ეროვნულ პარტიების და მათი ორგანოებისადმი მიმართულ იერიშების საწინააღმდეგოთ.

განა ასეთი ინფორმაცია კომიტეტის მოვალეობას არ შეადგენს?“

რევოლუცია

დეპეშები

პეტროგრადის ამბების გამო.

ნიჟნი-ნოვგოროდი. აპრილის 23. გლეხთა, მუშათა და ჯარის კაცთა საბჭომ დაადგინა, რომ დროებით მთავრობის ახალი განცხადება აპრ. 12 სრულიად ამტკიცებს 27 მარტის დეკლარაციას. საყურადღებო აქტები უნდა შეეთანხმებოდეს მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოთა შეხედულებას. საჭიროა ახლო მომავალში მოწვეულ იქმნას მოკავშირეთა კონფერენცია, რომელიც შეიმუშავებს ზავის პირობებს: უანექსიოს და უკონტრიბუციოს. სოციალისტებმა უნდა მოიწვიონ სოციალისტების საერთაშორისო კონგრესი. ეთხოვოს ახალ მთავრობას, რათა მან შეატყობინოს იმ ხელშეკრულობის შინაარსი, რომელიც ძველ მთავრობას მოკავშირეებთან ჰქონდა დადებული.

პროტესტები.

ხარკოვი. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, დროებითი მთავრობის ნოტის გამო, პროტესტს აცხადებს დაპყრობითი ომის განგრძობას წინააღმდეგ. იმპერიალისტურ პოლიტიკის მომხრენი დროებითი მთავრობის შემადგენლობიდან უნდა გამოვიდნენ. უნდა გამომჟღავნდეს საერთაშორისო ხელშეკრულება.

სამარა. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ დროებითი მთავრობის ნოტის გამო დაადგინა: ნება არ მიეცეს დროებითი მთავრობას დემოკრატიის კონტროლს თავი დააღწიოს. ყოველნაირად მხარი უნდა მივცეთ პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს და მოკავშირეებთან დადებული ხელშეკრულებანი უნდა გამომჟღავნდეს.

გერმანეთის კავშირის საბჭოში.

სტოკჰოლმი. აპრილის 23. „ფოსიშე-ცაიტუნგის“ ცნობით გერმანეთის კავშირის საბჭოს გარეშე საქმეთა კომისია სამშაბათს შეიკრიბება, კომისიამ უნდა მოისმინოს კანცლერის ცნობები დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ. ამასთანავე კანცლერი პასუხს გასცემს კონსერვატორებს და სოციალ-დემოკრატებს.

მაჰმადიანი ქალები.

ტომსკი. აპრილის 23. მაჰმადიანთა ბიურომ მოწოდებით მიმართა მაჰმადიან ქალებს, რათა მათ თავი დააღწიონ კარჩაკეტილ ცხოვრებას და სამოქმედო ასპარეზზე სამუშაოდ გამოვიდნენ. დღევანდელ საჭიროებათა გამო მათ უნდა დაიარსონ პროფესიონალი კავშირები, საზოგადოებანი, ჯგუფები, ქალთა ლიგები; აგრეთვე იარონ მეჩეთებში, მონაწილეობა მიიღონ ყრილობაში და სხ. მოწოდების სიტყვით, ყველა ეს უფლებანი მათ ახალი მთავრობის მიერ მიენიჭათ.

აღმასრულებელი კომიტეტი და გენ. კორნილოვი.

პეტროგრადი. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი იტყობინება, რომ აპრილის 20, მას შემდეგ, რაც გამოქვეყნებულ იქმნა გარეშე საქმეთა მინისტრის ნოტა, ცნობები მოდის, აღმასრულებელი კომიტეტის ბრძანებით ჯარის ნაწილები ქუჩაში გამოჰყავთო. გენერალ კორნილოვმა ბრძანება გასცა, ხელთ იგდონ სასახლის მოედანიო. აღმასრულებელმა კომიტეტმა ათას გაუგებრობის და ბოროტმოქმედების თავიდან ასაცდენად შესაფერი ზომები უკვე მიიღო და განკარგულება მოახდინა, რომ იარაღიანი ჯარისკაცები ქუჩაში უმოწმობოდ აღარ გამოვიდნენ. გენ. კორნილოვის თანხმობით აღმასრულებელმა კომიტეტმა თავისი მუდმივი კომისარები გაჰგზავნა პეტროგრადის საოლქო შტაბში. კომისარების მიზანია—კორნილოვის და აღმასრულებელ კომიტეტის შეთანხმებული მუშაობა ჯარის პოლიტიკურ საქმეებში.

ვოლინის საეპარქიო ყრილობა.

პეტროგრადი. აპრილის 21. ვოლინის ეპარქიის სამღვდელოების ყრილობამ დაჰგმო შავ-რაზმული პოლიტიკა და დაადგინა მხარი დაუჭიროს ცხოვრების დემოკრატიულ პრინციპებზე დამყარებას, უკრაინის ავტონომიას, ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფას, სასულიერო სასწავლებლის რეფორმას და უახლოეს მომავალში სამღვდელოების ყრილობის მოწვევას.

დაადგინა, რომ საეკლესიო მიწები გადაეცეს გლეხებს. შემდეგ განიხილა რა აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება არქიეპისკოპოს ევლოგის გადაყენების შესახებ, დაადგინა ეთხოვოს თავ. ლოცვს რათა იგი დარჩეს თავის ალაგას.

ყრილობამ გადასწყვიტა ეთხოვოს სინოდის ობერ-პროკურორს, რათა სამღვდელოებას უფლება მიეცეს მოახდინოს კონსისტორიის რევიზია, რადგანაც მისი წევრები უკიდურესი პოლიტიკანები არიანო.

კრება კიევში

კიევი. აპრილის 24. გაიხსნა კრება სამხრეთ-დასავლეთელ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატებისა; კრებას დაესწრო 400 კაცი. თავმჯდომარედ ამორჩეულია ნეზლობინი. დადგენილია: ამოირჩეს მუშათა, ჯარის კაცთა, გლეხთა და სასურსათო სექციები.

საკონსტიტუციო კომისიის განცხადება.

სტოკჰოლმი. აპრილის 23. ბერლინიდან იტყობინებიან: კომისიამ, რომელსაც დავალებული აქვს კონსტიტუციის გადაშინჯვა — დაადგინა, სანამ გერმანეთი ომობს, რეიხსტაგის დათხოვნა და მუშაობის შეწყვეტა, მხოლოდ მისივე სურვილით მოხდესო.

გლეხთა ყრილობის დადგენილება

მინსკი. აპრილის 23. გლეხთა ყრილობამ გადასწყვიტა დათხოვნილ იქმნენ ყველა სამაზრო კომისარები, განახლებულ იქმნეს სამაზრო კომიტეტები გლეხთა წარმომადგენლობით, რომელთაც მიენდობა ძველი მთავრობის მომხრე მილიციონერების, მწერლების, ქსენძების და მღვდლების გადაყენება.

დროებითი მთავრობის მოწოდება

პეტროგრადი. ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი მორიგი საკითხი მიწის საკითხია. მისი საბოლოვო და სწორი გადაწყვეტა შეუძლიან მხოლოდ დამფუძნებელ კრებას, საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და ფარულ კენჭის ყრით. მაგრამ ასეთ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ყველგან ადგილობრივ წინდაწინვე შეგროვდეს ცნობები, თუ სად როგორი მოთხოვნილება და საჭიროებაა მიწისა, აგრეთვე დამზადდეს მიწის საკითხის მომწესრიგებელი ახალი კანონი. ამ მიზნით დროებითი მთავრობა აარსებს მთავარს კომიტეტს, რომელიც ამ საქმეს შეასრულებს ადგილობრივ საგუბერნიო, სამაზრო და სავოლოსტო კომიტეტების დახმარებით. ამ კომიტეტებს ევალებათ შეკრება ადგილობრივ ჩვეულებათა მიწის ხმარების წესისა, მიწის საჭიროებისა და დამფუძნებელ კრების მოწვევამდე გარჩევა და გადაწყვეტა ყველა საჩივრებისა და გაუგებრობისა მიწის საკითხში. ადგილობრივ კომიტეტების შეკრებილი ყველა მასალები და მიწად მოქმედების მოსაწესრიგებლად მათგან შემუშავებული გეგმები უნდა წარედგინოს მთავარ კომიტეტს, რომლის მუშაობაშიაც მონაწილეობას მიიღებენ წარმომადგენელნი სახელმწიფო სათათბიროს დროებითი მთავრობის კომიტეტისა, პოლიტიკურ პარტიებისა, სრულიად რუსეთის კოოპერატივთა კავშირისა, სამიწად-მოქმედო საგუბერნიო კომიტეტებისა და დროებით მთავრობის მიერ მოწვეული პირნი. მხოლოდ ამ გზით, ადგილობრივ ყოველმხრივ და დაწვრილებით შემუშავების და აწონ-დაწონის შემდეგ, შეიძლება სწორედ შემზადდეს გადასაჭრელად დიდი და რთული საკითხი მიწისა. ცხადი შეცდომაა იმისი ფიქრი, ვითომცა ყოველს გუბერნიას, მაზრას თუ ვოლოსტს თავისით შეეძლოთ ამ საკითხის გადაწყვეტა. ამ საქმეში მთელი ხალხი მჭიდრო კავშირითაა გადაბმული. ყოველი სოფელი დაინტერესებულია იმით, თუ როგორ მოეწყობა მიწის საკითხი უუმცირესს სოფელშიაც კი. დიდი საფრთხე ელის ჩვენს სამშობლოს, თუ დამფუძნებელ კრებას გადაწყვეტილებამდე, ხალხი ადგილობრივ თვითონვე შეუდგება მიწის საკითხის გადაჭრას. ასეთი თვითნება მოქმედება საერთო რღვევას გვიქადის. მინდორი მოუხნავ-მოუთესავი დარჩება, მოსავალი დაუბინავებელი, ქვეყანას თავს დაატყდება გაჭირვება და სიმშილი. ნუ ყოფილა ასე! ჩვენი სამშობლოს მერმისის გულისათვის, გულდამშვიდებით მოველოდეთ რუსეთის მიწა-წყლის ნამდვილ მომწესრიგებელს, სახალხო დამფუძნებელ კრებას, რომელიც გამონახავს ნამდვილ და სამართლიან გზას მიწის საკითხის და მის მოწესრიგების საქმისათვის. დეე, გულდამშვიდებით იყვნენ ჩვენი სახელოვანი მეომარნი, ჩვენი სამშობლოს დამცველნი. დეე, სწამდეთ, რომ მათს დაუსწრებლად და მათ მონაწილეობის მიუღებლად მათს სამშობლო კერაზე არავინ არ შეუდგება მიწის საკითხის გადაწყვეტას. დეე, იცოდნენ, რომ მიწის საქმეში ხალხი არავის არ მისცემს თვითნებობის ნებას და დამშვიდებით მოულოდინონ მიწის მოწესრიგებას, რაიც უზრუნველჰყოფს მიწის დამმუშავებელ მშრომელი ხალხის სამართლიან ინტერესებს.

მოძრაობა პეტროგრადში

პეტროგრადი, აპრილის 21. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს წევრების სხდომას მოუსვენარი ხასიათი ჰქონდა. სხდომა ერთი საათით და ოცი წუთით დაგვიანდა. აღმასრულებელი კომიტეტი მუშაობდა დროებითი მთავრობის ნოტის შესწორების საკითხებზე. კრების თავმჯდომარემ ჩხეიძემ აღმასრულებელ კომიტეტის სახელით სიტყვის ნება მისცა წერეთელს. წერეთელმა სთქვა: „ორი დღეა რაც პეტროგრადი ღელავს. ეს ხალხის აღშფოთება გამოწვეულია გარეშე საქმეთა მინისტრის ნოტით. ორი დღის წინად ჩვენ მოვსპეთ სისხის საკითხი, რადგანაც ველოდით ამ ნოტას და გვინდოდა დავრწმუნებულიყავით მართლა უარს იტყოდა თუ არა მთავრობა ყოველგვარ ანექსიასა და დაპყრობით პოლიტიკაზე. სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თათბირმა გადასწყვიტა, რომ აუცილებლად საჭიროა ყველა სახელმწიფოებისადმი მიმართვა. ამ ნაბიჯს ჩვენ აუცილებლადა ვსთვლიდით. როდესაც გამოქვეყნებულ იქმნა მთავრობის ნოტა. დემოკრატიამ დაინახა, რომ მთავრობა თავის შეპირებაზე უარს ამბობდა. ნოტაში გამოხატულია ისეთი მიზნები, რაც დემოკრატიისათვის სასურველი არ არის. ყოველივე ამაზედ ჩვენ მივუთითეთ მთავრობას და გამოვუცხადეთ, რომ საჭიროა ნოტის განმარტების გამოქვეყნება. გამოსცენ ნოტა და არა ორ აზროვანად განაცხადონ, რომ მთავრობა ისევ ადგია 27 მარტის დეკლარაციას და უარსა ჰყოფს ანექსიასა და დაპყრობითს ომს. განაცხადა წერეთელმა, და ამის შემდეგ კონფლიქტი ახალ მთავრობასთან მოსპობილად უნდა იყოსო. წერეთელი განაგრძობს სიტყვას: „დროებითმა მთავრობამ მოგვცა გარანტია. მან გვიჩვენა, რომ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს მუშაობა მათ მიერ დაფასებულია. ბოლოს წერეთელმა გამოაცხადა აღმასრულებელ კომიტეტის მიერ შემუშავებული რეზოლუცია. წერეთლის სიტყვას მთელი კრება დაუსრულებელი ტაშით მიეგება.

შემდეგ შრომის ჯგუფის სახელით ილაპარაკა სტანკევიჩმა: „შრომის ჯგუფი მხარს უჭერს აღმასრულებელ კომიტეტის რეზოლუციას. საბჭოს აქვს ეს უფლება, რადგანაც ის შესდგება მარტო პეტროგრადის ჯარისკაცთა და მუშათა წარმომადგენლებისაგან (დასტური). სოციალისტ-რევოლიუციონერებისა, შრომის ჯგუფისა და სახალხო სოციალისტების სახელით ორატორი აცხადებს, რომ მთავრობის გადაყენება უდროოა და წინადადებას აძლევს კრებას, რომ საზღვარ გარედ გაგზავნილ იქმნეს დელეგაცია რუსეთის დემოკრატიის პოზიციის გამოსარკვევად. „ბოლშევიკი“ კამენევი წინააღმდეგია აღმასრულებელ კომიტეტის რეზოლუციისა.

„მენშევიკების“ პარტია ემხრობა რეზოლუციას და დამღუპველად მიაჩნია „ბოლშევიკების“ აგიტაცია. ჩერნოვი, სოციალისტ რევოლიუციონერების სახელით ემხრობა რეზოლუციას.

ჩერნოვის სიტყვის შემდეგ, კოლონტაი-ვოიტინსკი უამბობს კრებას, თუ რა საძაგელ სურათის მოწმე იყო იგი ნევის პროსპექტზე. შეიარაღებული ბრბო ესროდა მშვიდობიან მანიფესტანტებს. უკანასკნელნი აირ-დაირივნენ და დაიშალნენ. ტანი აცხადებს, რომ ამ შესაზარ შემთხვევის დროს მოკლულ იქმნა ორი, დაიჭრა ერთი. ესენი ჯარის კაცები არიან. დაჭრილებს გარს შემოეხვია ჯარის კაცთა ჯგუფი და აღშფოთებული იყვნენ მუშებზე. აღმასრულებელი კომიტეტი უნდა ეცადოს, რომ როგორმე თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი პროვოკაცია და კონტრ-რევოლიუცია. ტანი ურჩევს კრებას, ზომები მიიღონ, რომ ხალხი მანიფესტაციებს აღარ ჰმართავდეს ქუჩებში. სტეკლოვი აცხადებს, რომ თუ ჯარის კაცთა და მუშათა შორის განხეთქილება ჩამოვარდა, მაშინ რევოლიუციის საქმე სამუდამოდ დაღუპული იქნებაო. სკობელევმა განაცხადა: აღმასრულებელმა კომიტეტმა მოუწოდა ჯარის კაცთა და მუშებს იარაღი დაეჭყარონ. გენერალმა კორნილოვმა იარაღი დააყრევინა ჯარის კაცთ.

კრებაზე მიღებულ იქმნა შემდეგი წინადადებები: 1) მუშათა და ჯარის კაცთა საბჭო საჭიროდა სთვლის ორი დღის განმავლობაში ქუჩებში აღარ გაიმართოს მანიფესტაციები, მიტინგები და დემონსტრაციები. 2) საბჭო რევოლიუციის მტრად ჩასთვლის ყველას, ვინც მანიფესტაციების გამართვას ხელს შეუწყობს და ქუჩაში სროლას დაიწყებს. 3) მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს წინადადება ეძლევა მოახდინოს ქუჩებში მომხდარ სროლის სასტიკი გამოძიება. 4) საბჭოს ყოველ წევრს უფლება აქვს ორი ჯარისკაცისა და ერთი მუშის თანდასწრებით მოახდინოს გამოძიება. 5) საბჭოს ყველა წევრი მოვალეა ეს წინადადებები ორი დღის განმავლობაში ყაზარმებსა და ქარხნებში ყველგან გამოაცხადოს.

ამის შემდეგ წინადადება შემოიტანეს, რომ ვინც აგიტაციას გასწევს ლენინის წინააღმდეგ, იგი მოღალატედ იქმნას გამოცხადებული.—სკობელევმა განაცხადა, რომ ასეთი რეზოლიუციის გამოტანა შეუძლებელია, მაგრამ ყოველივე მოქმედება დროებით მთავრობისა და მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს წინააღმდეგ ღალატად იქნება ჩათვლილიო.—ამის მიზანია მოისპოს ქუჩებში მანიფესტაციები, მიტინგები და დემონსტრაციები. ამ წინადადებას უყარეს კენჭი და ხმის დიდის უმრავლესობით, გამოტანილ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია

(„ბოლშევიკების“ წინადადება უარყოფილ იქმნა):

მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მხურვალედ ეგებება რევოლიუციონურ დემოკრატიას, თავისი მიტინგებით, მანიფესტაციებით და დემონსტრაციებით, რაც ცხად ჰყოფს ხალხის შეხედულებას საგარეო პოლიტიკაზე და გვიჩვენებს ხალხის აღშფოთებას იმპერიალიზმის დამყარების შიშით. საგარეო მინისტრის ნოტა აძლევდა ხალხს აღშფოთების საფუძველს. დროებითმა მთავრობამ შეასრულა ის აქტი, რომლისაკენაც მიისწრაფოდა აღმასრულებელი კომიტეტი.—მან გვაცნობა 27 მარტის დეკლარაციით, რომ უარს აცხადებდა ყოველგვარ დაპყრობასა და ანექსიაზე და ამითივე მთავრობამ უარჰყო ასეთი მიმართულება და მიზნები საზოგადოდ ყველა ომისა. მაგრამ საგარეო საქმეთა მინისტრის ნოტა ისეთ განმარტებებს იძლეოდა, რომ სრულიად სპობდა მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯის ნამდვილ აზრს. ამ ნოტამ, ძველ მთავრობისაგან ნასესხებ კილოთი და ფორმით სამართლიანად გამოიწვია იმის შიში, რომ მთავრობა უარს ამბობდა დაპყრობით პოლიტიკის მოსპობაზე.

პეტროგრადის მუშებისა და ჯარისკაცების პროტესტმა დაუმტკიცა დროებით მთავრობას და მთელი ქვეყნის ხალხს, რომ რევოლიუციონური დემოკრატია არ შეურიგდება ძველ საგარეო პოლიტიკას და ეცდება საერთაშორისო მშვიდობიანობის დამყარებას. ამ პროტესტით გამოწვეული ახალი განმარტება ნოტისა მოსპობს მის ისეთნაირად გაგებას, რაც რევოლიუციონურ დემოკრატიის საწინააღმდეგო იქნება.—ის ფაქტი, რომ ძალმომრეობითი დაპყრობა გამოტანილია საერთაშორისოდ გადასაწყვეტად, დიდი გამარჯვებაა დემოკრატიისა. აცხადებს რა ამას, აღმასრულებელი კომიტეტი მოუწოდებს მთელ რუსეთის დემოკრატიას მტკიცეთ შეერთებისაკენ და იმედოვნებს, რომ ყველა მებრძოლ სახელმწიფოთა ხალხი შესძლებს მთავრობები თავიანთ უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის ჩამოგდებაზე დაითანხმონ.

ეროვნული საკითხი

(დეპეშა)

სტოკჰოლმი. აპრილის 23. ბერლინიდან იტყობინებიან: რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიამ იქონია მსჯელობა პოლონეთის დღევანდელ მდგომარეობის შესახებ. კრებაზე გათვალისწინებულ იქმნა სიძვირის ზრდა და დადგენილ იქმნა, ხელი შეუწყონ ლოძის საქმეს; სპილენძი საკმაოა, ამისთვის არ უნდა გაფუჭდეს საქარხნო მანქანები. უეჭველად საჭიროა პოლონეთის სახელმწიფო საბჭო სამინისტროდ გარდაიქმნეს. საქონლის კონფისკაციამ ლოძში სერიოზული ხასიათი მიიღო. საჭიროა პოლონეთს შეუერთდეს სახნავ-სათესი ოლქები, რათა უზრუნველ იქმნას მრეწველობის საქმე.

ომი და ზავი

დეპეშები

მთავარბანაკის ცნობა

25 აპრილი

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. მდ. ბერეზინაზე, სოფ. პოტაშნის მიდამოებში, მოპირდაპირის მზვერავები სცდილობდნენ ჩვენს თხრილებთან მოახლოვებას, მაგრამ ზარბაზნის სროლით გავფანტეთ. ვლადიმირ-ვოლინის მიმართულებით, ზუბლინის სამხრეთ მიდამოებში, ნაღმის და ყუმბარების მტყორცნელების დაშენის შემდეგ, თხრილებიდან გამოსულმა მტრის ქვეითა ჯარის ერთმა როტამ ჩვენს სანგრებს ხელის ყუმბარები დაუშინა. ზარბაზნების სროლით და ქვეითა ჯარის მოქმედებით მტერი თავის სანგრებშივე შევრეკეთ. კაბაროვცე-ზბოროვის ხაზზე მოპირდაპირე მედგრად გვიშენდა ზარბაზნებს.

რუმინეთის ასპარეზი. ოკნას სამხრეთ-დასავლეთის მიდამოებში მტრის საიერიშო შემოტევა ზარბაზნის სროლით მოვიგერიეთ. დანარჩენ ბრძოლის ხაზზე სროლა და ზვერვაა.

მფრინავთა მოქმედება. გურაგუსარის მიდამოში ზარბაზნის სროლით ჩამოვაგდეთ მტრის საფრენი. ორი მფრინავი აფიცერი დავატყვევეთ. გერმანელების მფრინავთა რაზმებმა ყუმბარები დაუშინეს ეთეტინოს, მოლდავეს და კიმპოლუნგს.

კავკასიის ასპარეზი. კიგის ჩრდილოეთით ოსმალების უმნიშვნელო შემოტევა სროლით მოვიგერიეთ. აზგისუეიკის არე-მარეში ოსმალების ერთი ბათალიონის იერიში მოვიგერიეთ. ოგნოტის ჩრდილო-დასავლეთით. დანარჩენ ხაზზე სროლა და ზვერვაა.

საფრანგეთი.

პარიზი. საღამოს ოფიც. ცნობა. სუასონის ჩრდილო-აღმოსავლეთით გუშინ დაპყრობილი ადგილი გავაფართოვეთ. საფის წისქვილისა და ბრეანლენუას ჩრდილოეთით მნიშვნელოვანი ადგილები ავიღეთ. მეტად ცხარე ბრძოლა იყო ზარბაზნებით შმენ-დელამის არე-მარეში, სადაც გერმანელებმა გუშინ ბევრჯელ მოიტანეს ძლიერი იერიში ფრუადმონის ფერმასთან. ყველგან შევინარჩუნეთ დაპყრობილი ადგილები, მტრის მედგარი იერიშები მოვიგერიეთ და დიდი ზარალიც მივაყენეთ. ერთი იერიშის დროს გერმანელების ბატალიონის უდიდესი ნაწილი გავჟლიტეთ. ტყვეთა რიცხვი დღევანდლამდე 6100-ს უდრის. მხოლოდ ერთმა კორპუსმა ბრეან-ლენუას ჩრდილოეთით 1800 კაცი დაატყვევა და 4 ვერსის სიგრძეზე მტრის გამაგრებული ხაზი დაიჭირა.

პარიზი. დუგლას ხეგი, გენ. რობერტსონი და ადმირალი ჯელიკო პარიზში სამხედრო თათბირს დაესწრნენ.

ინგლისი.

ლონდონი. საფრანგეთში მომქმედ ინგლისის მთავარბანაკის ოფიც. ცნობა. ღამე მოპირდაპირე შეეცადა დუვერგიეს აღმოსავლეთით მდებარე ჭალაში გუშინ დაკარგულ ადგილის დაბრუნებას, მაგრამ ჩვენმა ჯარმა კვლავ უკუაგდო. ცხარე ბრძოლაში მტერს ბევრი დაეხოცა. სოფ. ჰონელიეს ჩრდილოეთით მარჯვედ შევუტიეთ ვერსნახევრის სიგრძეზე. ჩვენი ჯარი ღრმად შეიჭრა მტრის ხაზში, სიმაგრეები აუფეთქა და ტყვეებით გამობრუნდა. წუხელ მტერმა კვლავ თავგანწირვით შემოგვიტია ჰინდენბურგის ხაზზე, ბიულკურის აღმოსავლეთით, მაგრამ უნაყოფოთ. დღეს დილით მოპირდაპირის შემოტევა შევაჩერეთ. მდ. სუშეს სამხრეთით მარჯვე შეტევით მტრის სანგრების პირველი წყება ავიღეთ და ტყვეებიც წამოვიყვანეთ.

ლონდონი. ბელკურის აღმოსავლეთით გერმანელების ძლიერი რაზმი მედგარი იერიშით წამოვიდა, მაგრამ დიდად დაზარალებული მოვიგერიეთ. მდ. სუშეს სამხრეთით, აშკილის სამხრეთით და გიულიუსის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ლოოსის სამხრეთ-აღმოსავლეთით მარჯვედ დავესხით მტერს. მდ. სკრაპის ნაპირებზე მნიშვნელოვანი ბრძოლაა ზარბაზნებით.

ინგლისის მფრინავები გერმანელების 15 საფრენს შეებნენ. გერმანელების 1 საფრენი ჩამოვაგდეთ, 4 იძულებული ვყავით ძირს დაშვებულიყო, დანარჩენები ბრძოლას მოერიდნენ. ჩვენი 6 საფრენი უვნებლად დაბრუნდა. გუშინ გერმანელების 6 საფრენი ჩამოვაგდეთ, 5 იძულებული ვყავით დაშვებულიყო, ჩვენ 2 საფრენი დავკარგეთ.

იტალია.

რომი. იტალიის მთავარბანაკის ოფიციალური ცნობა. ფიცხელი სროლა იყო ზარბაზნებისა, ტრენტინოს ასპარეზზე ასტიკოს მიდამოებში და მონტე-ცუნიას ფერდობებზე. ლაგორინოს ველში ჩვენი მზვერავი მტრის სანგარში შეიჭრა და სამხედრო მასალა გამოიტაცა. იულის ალპებზე, გორიცის მიდამოებში ჩვენი ზარბაზნები ფიცხლად მოქმედებდა. კარსოს სამხრეთ ნაწილში, ვოლჩადრამის და ხოშენის მიდამოებში ზარბაზნებს ვუშენდით. მტრის ჯარმა, მძიმე ზარბაზნების დაშენის შემდეგ, მოახერხა ერთი მოწინავე სანგრის აღება გორიცის სამხრეთ-აღმოსავლეთით. მონტე-კოკონიანის სანგრებზე მიტანილი იერიში მოვიგერიეთ.

მაკედონია.

სოლუნი. ფრანგებმა ააფეთქეს მტრის სამხედრო საწყობი.

მტერი ზარბაზნებს უშენს მონასტირს.

ინგლისი

ლონდონი. აპრილის 24. ოფიციალი ცნობა: დღეს დილით, ჰაეროპლანმა ლონდონში 4 ყუმბარა ჩამოაგდო. მოკლულია ერთი მამაკაცი, დაიჭრნენ ქალი და კაცი; მატერიალური ზარალი შეუმჩნეველია.

ახლო აღმოსავლეთი

სოლუნი. აპრილის 23. საარტილერიო ბრძოლა ორივე მხარეზედ გაცხოველდა. გერმანელები მხრჩოლავ გაზებს ხმარობენ. ცრნის ნაპირებთან მტრის არტილერია მედგრად უშენდა სერბიელთა ლაზარეთს. გუშინ საღამოთი ვარდართან ახლოს ბერძენ-ფრანგების ლაშქარმა მტერზე ენერგიული იერიში მიიტანეს. მოკავშირეებმა 500—100 მეტრით წინ წაიწიეს. ბულგარელთა კონტრ იერიში ბერძნებმა მოიგერიეს; დატყვევებულია 16 ბულგარელი.

საფრანგეთი.

პარიზი. აპრილის 23. დღის ოფიციალი ცნობა. სუასონის ჩრდილო-აღმოსავლეთით, გერმანელებს იერიში მოჰქონდათ ჩვენ მიერ გუშინ დაპყრობილ პოზიციებზედ. ბრძოლას სასტიკი ხასიათი ჰქონდა ლაფოს რაიონში, ფრუადმონის ფერმის ჩრდილოეთით და ბრეონ-ლონნუას ჩრდილოეთით. გერმანელთა ძლიერი ძალა ყველგან ძლეულ იქმნა. მათი იერიში კვლავ მხნედ მოვიგერიეთ. ჩვენი ჯარები დაპყრობილ ადგილებს ამაგრებენ. როგორც გამოირკვა, გუშინდელ ბრძოლაში გერმანელები ძლიერ გაზარალებულან. აპრილის 21-ს და 22-ს მდ. სომაზე ხელი შეგვიწყვეს ინგლისელებმა, რის გამოც ხელთ ვიგდეთ შმონ-დე-დამის მთის ქედი. დღემდე დაგვიტყვევებია 5800 კაცი, მათგან 180 აფიცერი, ხელთ ჩავიგდეთ 7 მსხვილ ყალიბრიანი ზარბაზანი. შამპანში, რაიმსის ჩრდილო-დასავლეთით გაძლიერებული სროლაა. მონგოს რაიონებში მტრის მედგარი იერიშები მოვიგერიეთ. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში ღირსშესანიშნავი არა მომხდარა რა.

აპრილის 21 ღამით, ჩვენმა მფრინავებმა გერმანელთა სამხედრო სადგურებს 21 ყუმბარა დააყარეს, რის გამოც ხაგონდაჟის ქარხნებში ცეცხლი გაჩნდა. აპრილის 21 ღამით, ჩვენმა მფრინავებმა, გერმანელთა 3 ჰაეროპლანი ჩამოაგდეს.

ჰელფერიხის განცხადება რეიხსტაგში.

სტოკჰოლმი. აპრილის 23. რეიხსტაგის საერთო კრებაზე, სოციალ-დემოკრატების საპასუხოდ ჰელფერიხმა განაცხადა, რომ გაფიცვის საკითხი არ მიეკუთვნება მუშებს, რადგანაც იგინი, მინისტრებივით სახელმწიფოს ემსახურებიან. სასურსათო გასაჭირი კი არა მარტო გერმანეთს, არამედ ყველა სახელმწიფოთ ადგა. სოციალ-დემოკრატების ზავი სიმშილს მოგვიტანს და არა პურს, მონობას და არა თავისუფლებას. ჩვენ უნდა დავიპყროთ ზავი! რეიხსტაგში სამხედრო ბიუჯეტის განხილვა დაიწყო. ომის შემდეგ გვჭირია დიდი ლაშქარი, რათა ჩვენ მიერ დაპყრობილი ადგილები შთამომავლობას შევრჩეს. სოციალ-დემოკრატმა შეჰფლინმა განაცხადა, რომ ასპარეზისთვის საჭიროა ახალი პრაქტიკული ზომები. პრუსიელთა სასტიკი სისტემა ახლა უფრო გამოაშკარავდა სამშობლოში, არ ძალუძს მიმართოთ მუშებს, როგორც რეკრუტებს. გენერალმა ჰრემერგმა უპასუხა: „გერმანელი ერი საბედისწერო ბილიკზე დგას, საჭიროა ძალთა შეკრება, შეთანხმება. ჩემი მოწოდება არ არის ლანძღვა, არამედ საკუთარი აზრების გამოთქმა!“ სოციალ-დემოკრატებმა ამაზედ პროტესტი განაცხადეს.

უკანასკნელი ცნობები

ინტერნაციონალის მდივანმა გიუისმანსმა სთქვა:—ომი უნდა დამთავრდეს უანექსიოდ. მშვიდობიანობის განმტკიცება რუსეთის ხალხზე, დამოკიდებულია. თუ რუსეთი ხმა მაღლა იტყვის, რომ მას სტამბოლ—სრუტეები არ უნდა, მაშინ გერმანეთის რეაქციონური მთავრობაც იძულებული იქნება ანექსიაზე ხელი აიღოს.

გერმანეთის სასურსათო დიქტატორის გრენერის მოწოდებამ, რომელშიაც მან გაფიცულთ „ძაღლი შვილები“ უწოდა აღიაქოთი გამოიწვია რეიხსტაგში.

დამფუძნებელ კრების საარჩევნო კომისიამ დაადგინა, რომ ასაკის ცენზი იყოს 20 წ. კანონების შედგენა დასრულდება ივნისის პირველს. არჩევნები ზაფხულში იქნება და ოთხი თვეს გასტანს. დამფუძნებელი კრება ოქტომბერზე ადრე არ იქნება მოწვეული. არჩევნებში მონაწილეობის მიღების ნება მიეცემათ, რომანოვთა გვარეულობის იმ წევრებსაც, რომლებიც ეხლა თავისუფალნი არიან.

—

მოსკოვიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ლენინი ამ ჟამად ივანოვ ვოზნესენსკში იმყოფება და ენერგიულად ეწევა აგიტაციას.

ახალი ამბავი

◆ **სურსათ-სანოვაგე.** ქალაქის სასურსათო კომიტეტმა აპრილის 24 მიიღო ფქვილი 2.210 ფუთი, ბრინჯი 153 ფუთი, მარილი 2.000 ფუთი, კართოფილი 2037 ფუთი, კვერცხი 71 ფუთი, ქერი 3987 ფუთი. აპრილის 25 მიიღო 40 ვაგონი ფქვილი და დღეს ხვალ მოელის კიდევ 40 ვაგონს. თბილისში სურსათი ცოტაა, 2 დღის სამყოფი იქნება, თუ მეტი არა. კომიტეტს 18 ვაგონი კარტოფილი აქვს რკინის გზის სადგურში. ამ კარტოფილს ვაგონობით გაყიდვას აპირებს წვრილ ვაჭრებზე, ფუთს 2 მან. 10 კ თუ მყიდველები აღმოჩნდებიან.

◆ **აგრონომების კავშირი.** აპრილის 24 სხდომა ჰქონდა ამიერ კავკასიის აგრონომთა კავშირის საორგანიზაციო ბიუროს. ბიურო შეუდგა კავშირის წესდების შედგენას. დადგენილ იქმნა გამოსცეს დეკლარაცია, რომლითაც აგრონომებს მოუწოდებს კავშირში ჩასაწერად. აგრეთვე კრებამ დაადგინა მოუწოდოს აგრონომებს, რომ ყოვლის საშუალებით ხელი შეუწყონ „თავისუფლების სესხის“ საქმეს.

◆ **მოსამსახურეების გაფიცვა.** კისლოვოდსკში გაფიცულან სასტუმროების, რესტორანებისა და სხ. მოსამსახურეები. გაფიცვას მეტად მტკიცე ხასიათი აქვს. თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭო წინადადებას აძლევს აქაურ და სხვა ქალაქების მოსამსახურეთ არ შეეცილონ საქმეზე გაფიცულ ამხანაგებს.

◆ **დაატუსაღეს** გორში, გორის ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს დადგენილებით, ჯარის უფროსი მატროსოვი, როგორც მავნე ელემენტი.

◆ **ქართული კათედრა ბერლინში.** ბერლინის ფრიდრიხ-ვილჰელმის უნივერსიტეტში დაუარსებიათ ქართული კათედრა.

◆ **მასწავლებელთა დელეგატების კრება.** აპრილის 24-ს ქალთა პირველ გიმნაზიაში მოხდა თბილისის ყველა სასწავლებლების მასწავლებელთა დელეგატების ყრილობა. მოსმენილ იქმნა ვაჟთა მე-3 გიმნაზიის მასწავლებელთა აზრი, რომ მასწავლებელთა კრების მიერ წარდგენილი პროექტი შესახებ სკოლის რეორგანიზაციისა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტმა უკანვე დაიბრუნოს ხელმეორედ განსახილველადაო. ასეთმა განცხადებამ ხანგრძლივი კამათი და პროტესტი გამოიწვია. განცხადება ერთხმად უარყოფილ იქმნა.

◆ **ღვინის აკრძალვის გამო,** აპრილის 24, სხდომა ჰქონდა ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტს. ღვინის საკითხების კომისიას თავმჯდომარეობდა ი. მ. დოლუხანოვი. კრებას დაესწრნენ მევენახეობა-მეღვინეობის მდივანი გ. ი. რცხილაძე, „კახეთი“-ს საზოგადოების გამგეობის წევრი გ. მაჭავარიანი და სხ. კრებამ რეზოლიუცია გამოიტანა, რომ ღვინის აკრძალვა დიდად მაზარალებელია ამიერ-კავკასიის მეურნეობისათვისო და დაადგინა სთხოვოს ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტს, რომ ღვინით ვაჭრობა საერთოდ ნებადართული იყვეს განსაზღვრულ პირობებში.

◆ **ქართველნი მასწავლებელნი.** თბილისის ქართველ მასწავლებელთა კრება კავშირის წესდების განსახილველად და დელეგატების ასარჩევად დანიშნულია პარასკევს, აპრილის 28, საღამოს შვიდ საათზე, ქართულ გიმნაზიის შენობაში.

◆ **დადგენილების დამტკიცება.** ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა დაამტკიცა თბილისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა კავშირის დელეგატთა კრების მიერ არჩეული კომისია, რომელმაც უნდა ჩაიბაროს სახალხო სკოლების დირექცია და გაუძღვეს სკოლების საქმეს. ამ კომისიაში 5 კაცია არჩეული. ვას. ჯაფარიძე, პეტ. ჩარექიშვილი, კირ. არველაძე, ივ. მარჩენკო და ჯ. ტერ-გრიგორიანი.

◆ **ახალი გაზეთი.** მაისის 1, პავლე საყვარელიძის რედაქტორობით, გამოვა თბილისში საპოლიტიკო და სალიტერატურო სოც.-დემოკრატიული გაზეთი „ალიონი“.

◆ **სოც. რევ. პარტია ჯარის კაცების შესახებ.** სოც.-რევოლიუციონერთა პარტიის კონფერენციამ 23 აპრილს, სხვათა შორის, მსჯელობა იქონია თბილისის გარნიზონის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს დადგენილების გამო შესახებ იმისა, რომ ჯარის კაცებს ნება არ აქვსთ ცალკე ჯგუფებად შეკავშირდნენო. ეს დადგენილება კონფერენციამ უკანონოდ სცნა. ამის გამო კონფერენციამ გადასწყვიტა წინადადება მისცეს თავის პარტიის კომიტეტს, მოხსენება წარუდგინოს ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომ გაუქმებულ იქმნას ზემო აღნიშნული დადგენილება, რომელიც ჯერ-ჯერობით ერთად-ერთია მთელს რუსეთშია ჯარისკაცთა ცალ-ცალკე კავშირების შედგენის შესახებ, ვინაიდან ეს დადგენილება ზღუდავს ჯარისკაცთა თავისუფლებას, როგორც თავისუფალ მოქალაქეებისას და გარდა ამისა თავისუფალი კავშირები ჯარისკაცთა საჭიროა რევოლიუციონურ მოძრაობის გასაღრმავებლად, კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ და ჯარის კაცთა მოსამზადებლად დამფუძნებელ კრებისათვის.

◆ **აჭარელთა ყრილობა.** ქვემო აჭარელთა მრავალ რიცხოვან ყრილობაზე დაადგინეს სრული ნდობა გამოუცხადონ დროებით მთავრობას და დეპეშით სთხოვონ პრემიერს ლვოვს, რომ სასჯელი ეპატიოს იმ პოლიტიკურ დამნაშავე აჭარელთ, რომელთაც ძველი მთავრობის მიერ სახელმწიფო ღალატი ბრალდებოდათ.

◆ **ქართული საღამო პიატიგორსკში.** აპრილის 16 პიატიგორსკის ახალ თეატრში დიდი ქართული საღამო გაიმართა. პროგრამა ძლიერ შინარსიანი იყო. მონაწილეობდნენ თეატრ „მინიატურის“ საუკეთესო ძალები. ხალხი აუარებელი დაესწრო და მეტის მეტად ნასიამოვნები დარჩა. მთელი შემოსავალი გადაეცა ადგილობრივ ქართულ საზოგადოებას.

◆ **მოთხოვნილება.** გაზეთების დამტარებლებმა შემდეგი შინაარსის მოთხოვნილება წარუდგინეს რედაქციებს: 1) თვიური ჯამაგირი 70 მ., 2) სათადებო ფულები უკანვე დაუბრუნონ რედაქციებმა სარგებლით, 3) წელიწადში ერთი თვის თავისუფლება ჯამაგირის შენახვით, 4) რედაქციებმა უსასყიდლოდ უნდა მისცეს დამტარებელს წვიმის ხალათი, 5) უსასყიდლო წამლობა და წამალი, 6) დათხოვნა-მიღება დამტარებლებისა ამხანაგების თანხმობით. თუ რედაქციამ დაითხოვა, 3 თვის ჯამაგირი უნდა მისცეს, 6) თუ რომელიმე დამტარებელი გარდაიცვლება, რედაქციამ ერთი თვის ჯამაგირი უნდა გაიღოს დასაკრძალავად და აგრეთვე გარდაცვლილის ოჯახობას იმდენი თვის ჯამაგირი უნდა მისცეს, რამდენ წელიწადსაც დამტარებელმა იმსახურა, მაგრამ არა უმცირეს ორი თვისა, 7) რედაქციამ 2—3 კაცი სათადარიგოდ უნდა იყოლიოს იმ შემთხვევისათვის, თუ დამტარებლები ავად გახდებიან და სხ.

◆ **შეცდომის გასწორება.** გუშინდელ №-ში **ლ. ჯაფარიძის** წერილში ფრიად სამწუხარო კორექტურული შეცდომებია. სწერია: რუსეთის სარევოლიუციო წყობილებას ორი მთავრობანი **ხაზერაგი** აკრავს, უნდა იყოს: **ხანჯრაგი**. შემდეგ: ალბერტ ტომა საფრანგეთის **მტრობასაც** ეწევა; უნდა იყოს საფრანგეთის **ელჩობასაც** ეწევა.

მთავრობის გადადგმულ ნაბიჯთან საბჭოს factum ექნება საქმე; უნდა იყოს post factum ექნება საქმე.

ბათუმი.

ხუთშაბათს, 27 აპრილს, შმაგევის ახალ თეატრში გაიმართება ბენეფისი მსახიობ გ. არადელ-იმნაძისა. წარმოდგენილი იქნება პირველად ბათუმის სცენაზე „დაძირული ზარი“, პიესა—ზღაპარი ხუთ მოქმედებად გ. ჰაუპტმანისა.

გორი.

გორის სამუსიკო საზოგადოებაში 16 აპრილს მოხდა გორის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წლიური კრება. ამორჩეულ იქმნა ნაცვლად თავის ნებით გასული სარევიზიო კომისიის წევრებისა ორი წევრი პარ. ჯაფარიძე და მიტო დიასამიძე. ხაზინადარად ექიმი ნიკო გაჩეჩილაძე. გადათვალიერებულ იქმნა წარსულ და მომავალ წლის ანგარიშები. გადასწყდა ამ წელს საზოგადოებამ იყოლიოს საკუთარი ინსტრუქტორი. გადასწყდა საზოგადოებასთან დაიწყოს მუშაობა კომერციულმა განყოფილებამ, რომელსაც აქვს უკვე ათი ათასი მან. — შეიძენს და გაასაღებს მეურნეებზედ შესაფერ თესლეულობას, იარაღებს და სხვა. გაეგზავნა მილოცვები ახალ მთავრობას.

საქ. ეკლ. უფლებათა ძირითადი დებულებანი*)

(მოკლე შინაარსი)

საქართველოს ეკლესიას შეადგენს მართლმადიდებელი ქართველობა, სადაც კი უნდა ცხოვრობდეს იგი.

აფხაზებსა და ამიერ-კავკასიის ოსებს თუ მოისურვებენ შეუძლიათ საქართველოს ეკლესიას შეუერთდენ; საქართველოს ეკლესიას მღვდელმთავრობს „არქიეპისკოპოზი მცხეთისა და თბილისისა, სრულიად საქართველოს კათალიკოზი-პატრიარქი;

კათალიკოსს ირჩევს მთელი ქართველობა პირდაპირის, თანასწორის, საყოველთაო და ფარული კენჭის ყრით.

კათალიკოსს საეკლესიო კრებასთან ერთად ეკუთვნის სრული უფლება საეკლესიო კანონმდებლობისა, სამართლისა, მეურნეობისა, სწავლა-განათლებისა და მღვდელ-მსახურებისა.

კათალიკოსი იცხოვრებს თბილისში. კათალიკოსს დამოკიდებულება ექნება ყველა ავტოკეფალურ ეკლესიასთან.

იურიდიული მდგომარეობა საქართველოს ეკლესიისა რუსეთში ისეთივეა, როგორც რუსულ ეკლესიისა.

სანამდის რუსეთში ეკლესიის საკითხი საერთოდ გარდასწყდებოდეს, ქართული ეკლესიის შემოსავალი ის იქნება, რაც აქამდის ეძლეოდა ექსარხოსს ქართულ ეპარქიებისათვის.

რაც რუსეთის ხაზინამ საქართველოს ეკლესიას ქონება ჩამოართვა, მისი სამაგიერო ხაზინამ უნდა გადიხადოს ქართულ ეკლესიასთან შეთანხმებით.

საქართველოს ეკლესია იურიდიული პიროვნებაა.

ყოფილი საექსარხოსოს საეკლესიო ქონება ავტოკეფალურ ეკლესიას საკუთრებად გადაეცემა, გარდა იმ ნაწილისა, რაც არა ქართულ მრევლს ეკუთვნის.

ეროვ. დემოკრ. პარტია

ნაძალადევში. კვირას, აპრილის 23-ს, საღამოს 8 საათზე, შესდგა ნაძალადევში მცხოვრებ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წევრთა კრება. პარტიის პროგრამის მუხლები აუხსნეს და განუმარტეს შალვა ქარუმიძემ. მიხ. ხერხეულიძემ. იქვე დარიგდა პროგრამები. შემდეგ აირჩიეს შვიდი კაცისაგან შემდგარი საუბნო კომიტეტი.

ქალაქის საბჭო

აპრილის 24 მოხდა ქალაქის საბჭოს კრება. თავმჯდომარეობდა ა. ხატისოვი. კრებამ დიდი ხანი მოანდომა შეკითხვების მოსმენას და პასუხებს. **ხმ. გელხტაანი** შეეკითხა გამგეობას: თევზი, როგორც უკვე ვიცით, ადგილობრივ გაიაფდა და რა არის მიზეზი, რომ თბილისში ისევ ძვირად იყიდება, ძველი ნიხრის კვალობაზეო? სასურსათო კომიტეტის წევრმა **ხმ. წვერავამ** უპასუხა, რომ თევზის ახალი ნიხრი უკვე შემუშავებულია სანიხრო კომისიის მიერ და სასურსათო კომიტეტი განიხილავსო. **ხმ. არ. ბაზოვი** კითხულობს: რა მიზეზია, რომ სახელმწიფო დაწესებულებებში ბევრგან თეთრ პურს ჰყიდიან, ხოლო ქალაქში საერთოდ არა თუ თეთრი პური არ მოიპოვება, არამედ შავიც ნაკლებად არის? რას აკეთებენ სასურსათო კომიტეტების წევრები? მარტო ის ხომ არ კმარა, რომ დიდი ჯამაგირები დაინიშნეს, მაგალითად, კომიტეტის თავმჯდომარეს ნ. ელიავას თვეში 700 მანეთი აქვს დანიშნულიო (ხმები: 800 მანეთი!) **ხმ. ნ. რამიშვილი** აცხადებს, რომ თუ მართლა ასეთი დიდი ჯამაგირები აქვთ კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებს, ეს საკადრისი არ არისო. გამგეობის წევრი **ათაბეგოვი** ცნობებს იძლევა, საიდანაც სჩანს, რომ ნ. ელიავას თვეში ჰქონია სასურსათო კომიტეტისაგან 800 მან., ხოლო 2 მის თანაშემწეებს—შემეტოვს და კაფიევს თითოს 600 მანეთი. მოხსენებელი ათაბეგოვი აცხადებს, რომ არ შეჰფერის საზოგადო მოღვაწეს, ასეთ რევოლიუციონურ დროს ასეთი დიდი სასყიდელი მიიღოსო.

ამის შემდეგ კრებამ რამდენიმე წვრილმალი საქმეები განიხილა და დაიშალა.

კავკასიის ფრონტის წარმომადგენელთა ყრილობა

(მეორე კრება)

24 აპრილი.

წინასწარ კომისიის პროექტი ყრილობის მუშაობის შესახებ:

დღევანდელი კრება ძმათა ესიკოევების ცირკში გაიმართა. დაიწყო დილის 9 ნახ. საათზე. კრება გახსნა ნ. ჟორდანიამ. კრებაზე წაიკითხეს ოქმი ყრილობის საორგანიზაციო კომისიის და მუშათა და ჯარისკაცთა აღმასრულებელ კომიტეტების საერთო კრებისა, რომელიც მარტის 23-ს საღამოთი მოხდა.

ოქმში სჩანს, რომ ზემო აღნიშნულ კრებას რამოდენადმე შეუცვლია ყრილობის სამოქმედო პროექტი. სახელდობრ: პირველად განხილული იქნება საკითხი: „მიმდინარე მომენტი და ტაქტიკა“, მოხსენებას წაიკითხავს პაპოვი.

შემდეგ მოჰყვება 1) „დამოკიდებულება დროებით მთავრობასთან“. წაიკითხავს დონსკოი.

2) „დამოკიდებულება ომთან“. აკ. ჩხენკელი.

3) „თავისუფლების სესხი“—ევგ. გეგეჭკორი.

4) „დამფუძნებელი კრება“—ნაროდინი.

5) „მუშათა საკითხი“—ნოე რამიშვილი.

6) „მიწის საკითხი“—ის. რამიშვილი და ბერიოზოვი.

ამასთანავე იქნება სექციები:

ა) სამხედრო სურსათის და მასალის მომწესრიგებელი (ხელმძღვანელობს პოდპორ. შჩედრინსკი).

ბ) საექიმო და სასანიტარო (ხელმძ. ექიმი გატმანი).

გ) სამხედრო პირთა მატერიალური მდგომარეობის (ჯარისკაცი ანდრეევი).

დ) სამხედრო პირთა ურთი-ერთ დამოკიდებულება (ა. კულიკოვსკი).

ე) ფრონტის და ზურგის შემადგენლობა (კაზგიცკი).

ვ) არმიის ორგანიზაცია (პოდპორ. ბილოვი).

ოქმში აგრეთვე დასახელებული იყო ყრილობის პრეზიდიუმის შემადგენლობა, რის წამოყენებაც დავალებული ჰქონდა საორგანიზაციო კომისიის და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთა საერთო კრებას.

პრეზიდიუმის არჩევნები.

დელეგატთა შორის უმთავრესად ორი პოლიტიკური მიმართულება სჭარბობდა: სოც.-დემოკრატიული და სოც. რევოლიუციონური. ამიტომ ზემო აღნიშნულ კრებისგან დასახელებულ პრეზიდიუმის შემადგენლობაში შედიოდნენ როგორც სოც.-დემოკრატები, ისე სოციალისტ-რევოლიუციონერები. ყრილობის თავმჯდომარედ დასახელებული იყო ევგენი გეგეჭკორი (სოც.-დემოკრატი, ქუთაისის გარნიზონის წარმომადგენელი). მის ამხანაგებად: ზვონარიოვი (სოც.-რევოლ.), უფროს ამხანაგად პივოვაროვი (სოც.-დემოკ.), სახნო (ს.-რევ.), ხაბელევსკი (სოც.-დემ.), გრიცენკო (სოც.-დემოკ.), ვერეშჩაკი (სოც.-რევ.), ანდრეევი (ს.-დემ.) და პაპოვი (სოც.-დემ.). მდივნებად: პიჟოვი, მთავარი მდივანი (სოც.-რევ.), ანანიევი (სოც.-რევ.), კონევეცკი (სოც. დემ.), სემიონოვი (ს.-დემ.), დიცი (სოც.-დემ), კაცმანი (სოც. დემ.), ენჩმანი (ს.-რევ.) და ახცირსკი (სოც.-დემ.).

პრეზიდიუმის არჩევამ დიდი კამათი გამოიწვია. ბევრი იმ აზრის იყვნენ, რომ პრეზიდიუმში არჩეული უნდა იქნენ თითო მაინც ყოველ კორპუსის თითო წარმომადგენელი, მაშინ არმიის ინტერესები უკეთ იქნება დაცულიო. ზოგი ამ საკითხს პოლიტიკური თვალსაზრისით უცქერდა და იმ აზრს გამოსთქვამდა, რომ კავკასიის არმიას უნდა მიეცეს გარკვეული პოლიტიკური სახე და საჭირო რომ პარტიული ინტერესები გამოვააშკარაოთო. ზოგიც მომხრე იყო მიეღოთ უცვლელად კომისიისგან წამოყენებული პრეზიდიუმი. ბოლოს გადასწყვიტეს აერჩიათ ჯერ თავმჯდომარე დაასახელეს: გეგეჭკორი, ზვანარიოვი, რამიშვილი, ვინტერფელი და სოკოლევსკი, ამ სამმა უკანასკნელმა თავის კანდიდატურა მოხსნეს. გეგეჭკორი ამბობს, ყრილობის თავმჯდომარის პასუხისმგებლობა დიდიაო. იგი კრების ნდობით უნდა იყოს აღჭურვილიო და ამიტომ მანაც მოხსნა თავისი კანდიდატურა. ბოლოს ზვანარიოვიც თანხმდება კანდიდატურაზე. კრებამ აირჩია **გეგეჭკორი** ყრილობის თავმჯდომარედ და **ზვონარიოვი** მის უფროს ამხანაგად. გეგეჭკორმა კრებას მადლობა მოახსენა არჩევისათვის. შემდეგ განმარტავს თანამედროვე მომენტს. აღნიშნავს მუშათა და ჯარის კაცთა მოქმედებას და მნიშვნელობას რუსეთის დიდ რევოლიუციაში და მოუწოდებს მათ მტკიცედ გაერთიანებისკენ საერთო მიზნისათვის სასარგებლოდ. შემდეგ, ხმას უმეტესობით ერთად აირჩიეს თავმჯდომარის ამხანაგებად ყველა კომისიის მიერ წამოყენებული ყველა პირი. ასევე აირჩიეს მდივნები. ასე რომ პრეზიდიუმის არჩევა მოხდა პარტიების შეთანხმებით, და პრაქტიკულ მუშაობას შეუდგა.

ყრილობის წესდება

თავმჯდომარემ კრებას სახელმძღვანელო წესდება წარუდგინა. ამ წესდების ძალით ყოველ საკითხზე ნება ეძლევა ილაპარაკოს ორმა ორატორმა დასაცავად და ორმაც წინააღმდეგ. ყოველ კითხვაზე ერთ ორატორს ნება ეძლევა ილაპარაკოს მხოლოდ ორჯერ, პირველად 15 წუთს, მეორედ ხუთს. მომხსენებლის სიტყვა დროთი არ იქმნას შეზღუდული, მხოლოდ დასკვნაში უნდა ილაპარაკოს არა უმეტეს ოცი წამისა. პირადი განცხადება შეიძლება კრების შემდეგ და ორატორთა ჩაწერა ბარათებით უნდა მოხდეს.

პრეზიდიუმს დაევალა დროებით მთავრობასთან მისასალმებელი დეპეშის შედგენა. დეპეშის შინაარსი შემდეგია: „მინისტრთა თავმჯდომარეს მინისტრს ლვოვს. კავკასიის არმიის დელეგატთა ყრილობა იწყებს რა თავის მძიმე და საპასუხისმგებლო მუშაობას, მიესალმება დროებით მთავრობას და გამოსთქვამს თავის რწმენას, რომ იგი დაიცავს სახელმწიფოს მთლიანობას და იარაღით ხელში მიიღებს გადამწყვეტ ზომებს, რომ დაჩქარებით შეასრულოს ის პროგრამა, რომელიც მან აღიარა, და აგრეთვე შექმნის ისეთ პირობებს, რომელნიც გარანტია იქნება საპატიო ზავის ჩამოსაგდებად უანექსიოთ და უკონტრიბუციოთ, ხალთა თავისუფალ თვითგამორკვევაზე აგებულს. ასეთია სურვილი მთელი რუსეთის დემოკრატიისა, და რევოლიუციონურ ჯარისა და კავკასიის არმიის დელეგატთა ყრილობას იმედი აქვს, რომ დროებითი მთავრობა, რომელმაც გვერდში ამოიყენა რევოლიუციონური ხალხი, შეასრულებს თავის მოვალეობას, ხელი-ხელ ჩაკიდებული ჯარისკაცთა, მუშათა, და გლეხთა დეპუტატების საბჭოებთან ერთად ივლის და არ გადაუხვევს ამ გზას არც გარეშე და არც შინაურ საქმეებში“.

კომისია პროექტის შესახებად.

შემდეგ საკითხი შეეხო კომისიის პროექტს. ზოგი თხოულობს ყრილობის პროქტში ეროვნული საკითხის შეტანას, ზოგი ჯარში კულტურულ-განმანათლებელ მოქმედების საკითხს და სხვა. ბოლოს გადაწყდა არჩეული იქმნეს კომისია, რომელიც პროექტს შეავსებს.

საპატიო თავმჯდომარე.

კრებამ ის. რამიშვილი საპატიო თავმჯდომარედ აირჩია.

მილოცვები.

შემდეგ კრებას მიესალმა ჯუღელი, ამიერ-კავკასიის რკინის გზების წარმომადგენელი და წარმატება უსურვა. თავმჯდომარის ამხანაგმა წაიკითხა სხვა და სხვა გარნიზონის მისალოცი დეპეშები. კრებამ გადასწყვიტა მისალმების დეპეშები გაეგზავნოს ყოფილ ემიგრანტებს პლეხანოვს და ჩერნოვს.

სექციები.

ილაპარაკეს სექციების შესახებ და მათთვის ბინის გამონახვაზე.

შემდეგი კრება უკვე საკითხების განხილვას შეუდგება.

მაჰმადიანთა ყრილობა ბაქოში

17 აპრილის სხდომა.

სრულიად შემთხვევით ეს სხდომა განსაკუთრებულ ზეიმათ გარდიქცა. დღის წესრიგში აღნიშნული იყო მოხსენებანი სასულიერო და საგანმანათლებლო საკითხების შესახებ. როდესაც მომხსენებელი შეეხო შიიტთა და სუნიტთა საკითხებს და მათი მმართველობის გაერთიანება მოითხოვა, რაც მათ შორის სექტანტურ განსხვავების მოსპობა იქნება, შეიხ-ულ-ისლამი და მუფტი ტრიბუნაზედ ავიდნენ და ერთმანეთი გადაჰკოცნეს. მათ მთელი ყრილობა აჰყვა და წარმოუდგენელმა აღტაცებამ აიტაცა მთელი მაჰმადიანობა; მუხტაროვმა ამ საერთო სიხარულის გამო პრეზიდიუმში 5000 მანათი შეიტანა. მუხტაროვს მრავალმა წაჰბაძა და ნახევარი საათის განმავლობაში 250 ათასი მანეთი მოგროვდა.

ამავე დღეს ყრილობას მიესალმნენ ილია და ნინო ნაკაშიძენი, წერა-კითხვისა და ქალთა საზოგადოებათაგან და ქართველ დაწესებულებებთან შეთანხმებული მუშაობისკენ მოუწოდეს.

ქართველ სოციალ-ფედერალისტთა წარმომადგენელმა იმედი განაცხადა, რომ მაჰმადიანები ქართველებთან ერთად ფედერატიულ საფუძველზედ აშენებულ დემოკრატიულ რესპუბლიკას მოითხოვენ.

კრება დროებით შესწყდა. განახლებისას სხდომა შეუდგა მაჰმადიანთა ეროვნულ პოლიტიკურ იდეალების გამორკვევას. ცხარე კამათის შემდეგ ყრილობამ შემდეგი რეზოლიუციები გამოიტანა: 1) ყრილობამ განიხილა რა კავკასიის მაჰმადიანთა ეროვნულ-პოლიტიკური ზრახვანი, დაადგინა: მაჰმადიან ერების ინტერესების უზრუნველსაყოფად რუსეთის სახელმწიფო წყობილების ყველაზედ უფრო მისაღებ ფორმად აღიარებულ იქმნას ტერიტორიალურ-ფედერატიულ საფუძველზედ დამყარებული დემოკრატიული რესპუბლიკა. 2) ისლამის მაღიარებელთა ყველა ერების შესაკავშირებლად დაარსდეს მაჰმადიანთა ერთი ცენტრალური ორგანო საკანონმდებლო ფუნქციებით.

ყრილობამ განიხილა სასკოლო სექციის მოხსენება მაჰმადიანთა სკოლების ნაციონალიზაციის შესახებ, რომლითაც ყრილობა ფრიად დაინტერესებული იყო და დიდი ყურადღებით მოისმინა. მომხსენებელთა პროექტით მთელს კავკასიაში შემოღებულ უნდა იქმნას საერთო, უფასო და სავალდებულო სწავლა, უნდა მოეწყოს დაბალი და საშუალო სასწავლებლები და ყველა დაბალ სასწავლებლებში საპროფესიო კლასები უნდა დაარსდეს. უნდა გაიხსნას უნივერსიტეტი, სადაც მეცადინეობა თურქულ ენაზედ უნდა სწარმოებდეს. ყველა ეს სკოლები სახელმწიფო ხარჯით უნდა ინახებოდეს და მთელი გამგებლობა მაჰმადიანთა ხელში იყოს.

ეს პროექტი მთელი ყრილობის მიერ ერთხმად მოწონებული იქმნა და საერთო სურვილი გამოითქვა, რომ ეს პროექტი რაც შეიძლება მალე განხორციელდეს. კომისარმა ჯაფაროვმა განაცხადა, რომ ეს პროექტი ამიერ-კავკასიის კომიტეტისათვის სრულიად მისაღებია და იგი მას უთუოდ საფუძვლად აიღებს მაჰმადიანთა სახალხო განათლების საკითხის გადაწყვეტის დროს, უკეთუ რომელიმე ჩემი ამხანაგი წინააღუდგება მას—სთქვა ორატორმა—ჩემი დარჩენა იმ კომიტეტში შეუძლებელი იქნებაო.

განხილულ იქმნა აგრეთვე მაჰმადიანთა განწყობილება დროებით მთავრობასა, რუსსა და სხვა ერებთან.

გადასწყდა მხარი დაუჭირონ დროებით მთავრობას იმდენად, რამდენადაც იგი შეეცდება 6 მარტის დეკლარაციის პრინციპების განხორციელებას, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოსთან შეთანხმებით რომ იყო აღიარებული.

რაც შეეხება სხვა ერებთან განწყობილებას, ყრილობამ აუცილებლად სცნო მხარი დაუჭირონ ყველა ეროვნებათ მათ ეროვნულ-პოლიტიკურ მისწრაფებათ განხორციელების საქმეში, კერძოდ კავკასიის ერთა შესახებ ყრილობამ საჭიროდ სცნო მჭიდრო კავშირის და თანხმობის დამყარება საერთო დემოკრატიულ მისწრაფებათა განხორციელებისათვის.

დღევანდელი სხდომის გათავებისას, კომისარი ჯაფაროვი ყრილობას გამოეთხოვა და მოუწოდა „თავისუფლების სესხს“ მხარი მიეცით. როგორც თქვენი დეპუტატი, გაძლევთ სიტყვას—სთქვა მან—რომ თქვენი ფული თქვენისავე თავისუფლების მოხმარდება და თუ არ გამოგჯერით მე ხვალვე მოვხსნი ჩემს რწმუნებულებასო. კომისარის მოწოდებას ყრილობა ტაშის ცემით შეხვდა და ოვაციებით გააცილა.

ყრილობა ხვალ გათავდება.

ადგილობრივი მმართველობის წეს-წყობილება

ორგანიზაციის წესი ამიერ-კავკასიის ფარგლებში საბოლოოდ უკვე დამტკიცებულია ამიერ-კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტის მიერ და მზადდება გამოსაცხადებლად. მისი მოქმედება დაიწყება იმ დღიდანვე, რა დღესაც გამოქვეყნდება. ვიდრე ახალი საადმინისტრაციო წესები გამოქვეყნდებოდეს და მოხდებოდეს [illegible] არჩევნები საყოველთაო ხმის მიცემით, ყველა საქმის გაძღოლა ევალებათ აღმასრულებელ კომიტეტებს: სასოფლო-სარაიონოს, ქალაქისას, სამაზროებს, საგუბერნიოს და მათ მიერ არჩეულ კომისარებს. საგუბერნიო ქალაქების

---

*) ეს დებულებანი დეკლარაციის სახით წარდგენილია დროებით მთავრობასთან დასამტკიცებლად. დეკლარაციის სრული ტექსტი ხვალ დაიბეჭდება.

კომიტეტები შესდგება: ქალაქის საბჭოს, მუშათა და სალდათთა დეპუტატთა საბჭოს წარმომადგენელთაგან, მათი რიცხვი საერთო შეთანხმებით აღინიშნება. კომიტეტები იწვევენ კოოპტაციის ძალით პოლიტიკურ პარტიათა და საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენლებს თითო კაციდან დაწყებული სამამდე. საგუბერნიო ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში შედის ექვსი წარმომადგენელი საგუბერნიო კომიტეტისა. საგუბერნიო კომიტეტები შესდგება ყველა სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთა სამ-სამ წარმომადგენელთაგან. აგრეთვე უნდა იყოს 6 წარმომადგენელი საგუბერნიო ქალაქისა და სამ-სამი წარმომადგენელი მუშათა და სალდათების დეპუტატთა საბჭოებისა.

დაბალი აღმასრულებელი კომიტეტები საადმინისტრაციო-საპოლიციო მხრით მაღალ კომიტეტებს ექვემდებარებიან. გამონაკლისს შეადგენენ თბილისისა და ბაქოს კომიტეტები, რომელნიც საგუბერნიო კომიტეტებს არ ემორჩილებიან. საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტები თავის წევრთა ან გარეშე პირთაგან სამის კაცისაგან შემდგარ საგუბერნიო და სამაზრო კომისარიატს ირჩევენ თანახმად საგანგებო ინსტრუქციისა. ამ პირთა შორის ერთს თავმჯდომარედ ირჩევენ. საქალაქო და სადაბო კომიტეტები ირჩევენ მილიციის უფროსებს და მათს თანაშემწეებს. დაბალ აღმასრულებელ კომიტეტთა კომისარებს მაღალ კომიტეტთა კომისარები ამტკიცებენ. სამაზრო და საგუბერნიო კომიტეტების კომისარიატს, აგრეთვე საგუბერნიო ქალაქების მილიციის უფროსებს ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტი ამტკიცებს. აღმასრულებელი კომიტეტები თავის მოქმედების რაიონებში განაგებენ საერობო-სამეურნეო საქმეებს და კონტროლს უწევენ საადმინისტრაციო-საპოლიციო საქმეებს. ყველა საკითხი ხმის უმეტესობით სწყდება. კომისარიატები, კომისარები და მათი თანაშემწენი საერობო-სამეურნეო საქმეებში აღმასრულებელ კომიტეტთა ორგანოებს წარმოადგენენ, ხოლო საადმინისტრაციო-საპოლიციო საქმეებში დამოუკიდებლად მოქმედებენ აღმასრულებელ კომიტეტთა საერთო კონტროლის ქვეშ. თავმჯდომარე, კომისარიატის წევრები და მილიციის უფროსი დათხოვნილ უნდა იქმნას სამსახურიდან შესაფერ აღმასრულებელ კომიტეტის წარდგენით იმ ორგანოს მიერ, რომლისაგან დამტკიცებულია ამ თანამდებობაზე. კომისარებისა და მათის თანაშემწეების სასყიდელს ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისარიატი საზღვრავს. ყველა აღმასრულებელი კომიტეტი და მათი ორგანოები ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს ემორჩილებიან. ამ წესით ახალ კომიტეტების არჩევნების შემდეგ ყველა დღეს არსებული კომიტეტი უქმდება.

რაც შეეხება ადგილობრივ მართველობის მოწყობას, ყველა სასოფლო საზოგადოებაში თანახმად დებულებისა არსდება სასოფლო აღმასრულებელი კომიტეტი, სადაც შედიან წარმომადგენელნი ამ სასოფლო საზოგადოებისა. თითოეულ ას ამომრჩეველზე არჩეულ უნდა იქმნას თითო წარმომადგენელი. იმ სოფლებს, რომელთაც 100-ზე ნაკლები მცხოვრები ჰყავთ, შეუძლიანთ შეერთდნენ. ამომრჩეველთა რიცხვის დათვლის დროს 50-ზე მეტი ამომრჩეველი თუ აღმოაჩნდა, ას ამომრჩევლად ითვლება. თუ 50 ზე ნაკლები აღმოჩნდა, მაშინ სულ არ ითვლება. არჩევნებში მონაწილეობას იღებს ყველა მოქალაქე, თუ ოცის წლისაზე ნაკლები არ არის, განურჩევლად წოდებისა, სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა, თუ ამა თუ იმ სასოფლო საზოგადოებაში ერთს თვეს ცხოვრობს არჩევნებამდე. არჩევნებში მონაწილეობას არ იღებენ: უცხოეთის ქვეშევრდომნი, ღირსება აყრილნი, ან შეზღუდულნი სისხლის სამართლის საქმის ჩადენისათვის, სასჯელდადებულნი ქურდობისათვის და სხვა ამგვარ საქმეებისთვის. არჩევა შეიძლება ყველა მოქალაქისა, განურჩევლად სქესისა, თუგინდ იმ სასოფლო საზოგადოებაში არცა ცხოვრობდეს.

სასოფლო აღმასრულებელ კომიტეტების საქმეს შეადგენენ: დამყარება და განმტკიცება წესიერებისა და მშვიდობიანობისა, მილიციის დაყენება სასოფლო საზოგადოების საზღვრებში, არჩევა თავის წრიდან ან გარეშე პირთაგან ერთის სასოფლო კომისარისა და მისი თანაშემწეებისა ყოველ სოფელში, ხარჯის ამკრებებისა და თანამდებობის სხვა პირებისა, სასურსათო საქმე, ღონისძიებათა მიღება კანონით დადებულ გადასახადებისა და ხარჯების ასაკრებად. მამასახლისებისა და მათის თანაშემწეების თანამდებობა უქმდება და მათი მოვალეობა ეკისრება სოფლის კომისარებს და მათს თანაშემწეებს. სარაიონო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთა არჩევა იმავ საფუძველზე ხდება, როგორც სასოფლო კომიტეტისა. სამაზრო კომიტეტში შედის თითო წარმომადგენელი სასოფლო და სადაბო კომიტეტისა.

ადგილობრივი მმართველობის ორგანიზაცია. თანახმად დადგენილებისა ადგილობრივი მთავრობის ორგანიზაციის არჩევნებს აღმასრულებელი კომიტეტი ადგილობრივ მოახდენს. არჩევნების სახელმძღვანელოდ იქნებიან გაგზავნილნი ამიერ კავკასიის აღმ. კომიტეტისაგან სხვა და სხვა პირნი. შესდგა ახლავე დროებითი სახელმძღვანელო კომისია—სადაც არიან:—ალ. არაქელიანი, ექიმი ველიკოვი და ხმოსანი გიორგი ჟურული.

ვ. გუნიას იუბილეს გამო

სადღესასწაულო ზეიმი. საბოლოვოდ გამოირკვა, რომ შაბათს, 29 აპრილს, ნაშუადღევის პირველ საათზედ ვალერიან გუნიას 35 წლის მოღვაწეობის პატივსაცემლად გაიმართება დიდი სადღესასწაულო ეროვნული კრება სახელმწიფო თეატრში.

კრებას გახსნის დრამატიული საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე იოსებ ბარათაშვილი მომენტის შესაფერის სიტყვით და წინადადებას მისცემს კრებას საპატიო თავმჯდომარე აირჩიონ. კრებაზე მოწვეულ იქნებიან სხვა და სხვა საპატიო პირები, როგორც ქართველ მოღვაწეთა, აგრეთვე სომხებთა მუსულმანთა წრიდან! კრებაზე მოიწვევენ სხვათა შორის დროებითი მთავრობის წარმომადგენლებს, კავკასიის კომისარებს. იქნებიან საკათალიკოზოს წარმომადგენლებიც.

კრებაზე წარმოსთქვამენ სიტყვებს კიტა აბაშიძე, ი. გომართელი, გრ. რობაქიძე, გ. გვაზავა, ი. მაჭავარიანი, სამსონ დადიანი, სპირიდონ კედია, ჭიაბრიშვილი, გიორგი ლასხიშვილი და სხვები. მერმე სიტყვები მიეცემათ სხვა და სხვა დაწესებულებათად ორგანიზაციათა დეპუტატებს და დელეგატებს.

სიტყვებში აღნიშნული იქნება უმთავრესად ეროვნულ-კულტურული მუშაობა ამ უკანასკნელი სამი ათეული წლების განმავლობაში. კრებაზე იუბილიარს მიართმევენ საპატიო დიპლომს. სხვათა შორის ამ დღეს თავს იყრიან თბილისში პროვინციებიდან ქართული სცენის ყველა მუშაკნი პროფესიონალური კავშირის შესაკრებლად.

სადღესასწაულო წარმოდგენა. შაბათსვე, საღამოს 8½ საათზე, სახელმწიფო თეატრში გაიმართება სადღესასწაულო წარმოდგენა ჩვენი დასის საუკეთესო ძალების მონაწილეობით. წარმოდგენილი იქნება ალ. სუმბათაშვილის „ღალატიდან" მეორე მოქმედება და მხიარული კომედია იუბილიარისა „სიძე-სიმამრი". დრამასა და კომედიას შუა ქართული სცენის მოღვაწენი იუბილიარს საჯაროდ მიულოცავენ 35 წლის ნაყოფიერ მოღვაწეობას. წარმოითქმება სიტყვები და წაკითხული იქნება ადრესები.

ზეიმის მომწყობმა კომიტეტმა, ქართ. დრამ საზოგადოების გამგეობამ, საიუბილეო კომისიამ და ქართველ მსახიობთა კორპორაციამ დილის ზეიმის ხელმძღვანელობა დაავალა შალვა დადიანს და კონსტ. ანდრონიკაშვილს, ხოლო საღამო ვ. შალიკაშვილს.

საზეიმო კომისია გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ბილეთები არავის არ ეგზავნება და ყოველივე საყვედურის ასაცილებლად ყველამ თვითონ და დროზე უნდა იზრუნოს ბილეთების შესაძენად. ბილეთები იყიდება სახელმწიფო თეატრის კასაში ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 6 საათიდან.

საიუბილეო ალმანახი. ჩვენ მივიღეთ მიხ. გაჩეჩილაძის მიერ ვ. ლ. გუნიას პატივსაცემად გამოცემული სოფ. მგალობლიშვილის რედაქტორობით შედგენილი საიუბილეო ალმანახი „მადლობის დღე". ალმანახი მშვენიერ ქაღალდზეა დაბეჭდილი და დასურათებულია ვ. გუნიას მრავალის სურათებით და ნახატებში სხვა და სხვა როლებში სხვა და სხვა დროს. ალმანახი შეიცავს 24 გვერდს დიდის ტანისას და ეხლანდელი ფასების მიხედვით—იაფია, ღირს ერთი მანეთი. სხვათა შორის შემოსავალი ხარჯს გარედ მოხმარდება იუბილიარის ფონდს, სახლკარის შესაძენად.

მომხმარებელ საზოგადოების „მეურნის" წევრთა საზოგადო კრება.

28 აპრილი.

კრება გაიხსნა დღის 12 საათზე. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ლ. ჩიმაკაძე, მდივნად დ. დ. კარიჭაშვილი. კრებამ მოისმინა საზოგადოების საფინანსო ანგარიში 1916 წლის 15 მარტიდან ვიდრე 1917 წლის 5 იანვრამდე, ე. ი. 9 ნახევარ თვისა. როგორც ეს ანგარიში გვიჩვენებს, აღნიშნულ დროს განმავლობაში საზოგადოების წარმოება უდრის 261.687 მ. 12 კაპ. აქტივი საზოგადოებისა შეადგენს 64.741 მან. 38 კაპ., პასსივი 53.063 მან. 98 კაპ.. წმინდა მოგება დარჩენილა 11.677 მან. 40 კაპ. და ამასთანავე აღდგენილია 3.000 მან., რომელიც შარშან საზოგადოებამ იზარალა.

ანგარიში მოწონებულ იქმნა.

შემდეგ კამათი გაიმართა წმინდა მოგების (11.677 მან. 40 კ.) განაწილების შესახებ. ივ. ზედგინიძის წინადადება, რომ წმინდა მოგებიდან რამდენიმე პროცენტი საზოგადოების წევრებს მიეცესთ დივიდენდათო, კრებამ არ შეიწყნარა. ერ. ტოროტაძემ წინადადება მისცა კრებას, რომ 3.000 მ. გადასდვას საქართველოს ეროვნულ პარტიების სასარგებლოდ. სამ. დადიანი ამტკიცებს, რომ „მეურნეში" წევრებად, გარდა ქართველებისა, სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებიც შედიან და თუმცა, პროცენტის მიხედვით, ქართველობა უმრავლესობას შეადგენს, მაგრამ სოც.-ფედერალისტთა პარტია, თავისი პროგრამის მიხედვით, უმცირესობის ინტერესების დამცველიც არის და ამ თვალსაზრისით, პარტიების სასარგებლოდ თუ ფული გადაიდება, გარდა ქართველ ეროვნულ პარტიებისა, სხვა ეროვნებათა პარტიებსაც (სომხებს, რუსებს, მუსულმანებს და სხ.) წილი უნდა დაედვას და ეს უხერხულობას გამოიწვევსო. გარდა ამისა, ორატორის აზრით, ტეხნიკური მხარეც დიდ დაბრკოლებას გამოიწვევს ფულის განაწილების დროს, მაგალითად რომელი პარტია უნდა იქნეს ეროვნულ პარტიად აღიარებული და რომელი არა, და ყოველივე ამ მოსაზრებით ბ-ნი ს. დადიანი შეუძლებლად სცნობს ერ. ტოროტაძის წინადადების შეწყნარებას. ერთი წევრი თხოულობს, რომ ორას-სამასი თუმანი ქართველ მიჰმადიანთა სასარგებლოდ გადაიდოს მოგებიდან და ამის წინააღმდეგი საზოგადოების არც ერთი წევრი არ იქნებაო.

თედ. ღლონტს წინადადება შემოაქვს, რომ წმინდა მოგებიდან 2.000 მანეთი პროპორციონალურად გაუნაწილდეთ საზოგადოების წევრთა ეროვნულ პარტიებს—ქართველებს, სომხებს, რუსებს და მუსულმანებს. ასეთი დადგენილება კრებისა, ორატორის აზრით, საერთოდ დიდ ეფექტს მოახდენს. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, ღლონტის წინადადება შეწყნარებულ იქმნა. ეხლა კამათი ასტყდა იმაზე, თუ რომელი პარტიები იქმნას ეროვნულ პარტიებად მიჩნეული. იმავე თ. ღლონტის აზრით, ქართველებში ეროვნულ პარტიად აღიარებულ უნდა იქმნას სოც.-ფედერალისტთა პარტია და ხვედრი ფული 2000 მანეთიდან ამ პარტიას მიეცეს, სომხების ეროვნულ პარტიად ცნობილ უნდა იქმნას დაშნაკცუტუნები, რომელნიც გაზეთ „ორიზონის" გარშემო არიან შემოკრებილნი, რუსებში კადეტთა პარტია, ხოლო რადგან მუსულმანებს პოლიტიკური პარტიები არ ჰყავთ, ხვედრი ფული უნდა მიეცეს იმ ჯგუფს, რომელიც თურქთა ავტონომიას თხოულობს. კრების უმრავლესობამ ქართველ ეროვნულ პარტიებად აღიარა ს.-ფედერალისტთა პარტია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და სოც.-დემოკრატიულ პარტიის ის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს ივ. გომართელი და რომელიც საქართველოს ავტონომიას ესარჩლება. მაგრამ ამ სამ პარტიათა შორის, თედ. ღლონტისა და ს. დადიანის წინადადებით, ხვედრი ფული ასე უნდა განაწილდეს: ნახევარი მიეცემა სოც.-ფედერალისტებს, ხოლო მეორე ნახევარი თანაბრად გაუნაწილდებათ ეროვნულ-დემოკრატიულ და ავტონომიის მომხრე ს.-დემოკრატიულ პარტიის ჯგუფს. რაც შეეხება სომხებსა, რუსებსა და მუსულმანებს, მათი ხვედრი ფული საზოგადოების გამგეობამ უნდა გაუგზავნოს დროებით მთავრობის კომისარებს—ხარლამოვს, პაპაჯანოვს და ჯაფაროვს, რომელთაც ეს ფული თავიანთი შეხედულობით უნდა გაუნაწილონ თავიანთ ეროვნულ პარტიებს.

ამის შემდეგ კრებამ იმავე წმინდა მოგებიდან გადასდვა: 1) ვალ. გუნიასათვის საჩუქრად მის 35 წლის მოღვაწეობის საიუბილეო დღეს, 2) ქართულ საკულტურო საქმეებისათვის 800 მან., 3) საზოგადოების მოსამსახურეთათვის საჩუქრის სახით 330 მან., 4) საზოგადოების გამგეობის წევრის ბ-ნ დგებუაძისათვის, რომელიც გამგეა საზოგადოების საფაბრიკო საქმეებისა, 500 მან., 5) გამგეობის დანარჩენ წევრებისათვის ერთდროულ ჯილდოთ 800 მან., 6) თავისუფლების სესხზე" ხელის მოსაწერად 5.000 მან. და 7) საწარმოო თანხის გასაძლიერებლად 2,047 მან. 40 კაპ.

ბოლოს მოხდა არჩევნები. გამგეობის წევრად ერთხმად არჩეულ იქმნა ისევ თ. ღლონტი, რომელსაც სამსახურის ვადა ჰქონდა გასული, ხოლო მეორე წევრად, ნაცვლად ბალიაშვილისა, ერთხმად აირჩიეს ერ. ტოროტაძე. სარევიზიო კომისიის წევრობაზე დიდ უარს ამბობდა ეს. ავალიშვილი, მაგრამ დიდი ხვეწნის შემდეგ დაიყოლიეს და ერთხმად აირჩიეს, ხოლო კანდიდატებად არჩეულ იქმნენ ქ. ქავთარაძე და ყ. მეხუზლა.

კრება დამთავრდა ნაშუადღევის 4 საათზე.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

თქვენი გაზეთის ხუთშაბათის ნომერში ქრონიკაში შეცდომით გამოცხადებული იყო, რომ რედაქციამ მიიღო ია ეკალაძის მოთხრობები გამოცემული „ქართველ მოსწავლეთა ბიბლიოთეკის" ამხანაგობის მიერო. ეს წიგნაკი ზემოხსენებული ამხანაგობის გამოცემა კი არ გახლავთ, ის არის გამოცემა „მთავრიშვილისა და ამხან. წიგნის მაღაზიისა", რაც ცხადად დაბეჭდილია წიგნის ზედა პირზედაც და შემდეგ გვერდზედაც. წიგნის მაღაზიას განზრახვა აქვს სახელწოდებით „ქართველ მოსწავლეთა ბიბლიოთეკა" გამოსცეს მთელი სერია ქართული წიგნებისა, ხსენებული წიგნი არის ამ სერიის პირველი ნომერი.

რედაქტორი გრიგოლ ვეშაპიძე.
გამომცემელი ამხ. „საქართველო".

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგ.	№ 9,	11.43	სად.
ბორჯომისკენ	სამგ.	№ 19,	3.20	დღ.
„	„	№ 17,	8.27	დილ.
გორისაკენ	სამგ.	№ 61,	9.10	დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	9.20	დილ.
„	სამგ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	სად.
ყარსისაკენ	სამგ.	№ 4-8,	11.13	სად.
თელავისაკენ		№ 4,	8 „ 58	„ დილ.

თბილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგ.	№ 10,	7.51	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	სად.
ხაშ.-ბორჯ.	სამგ.	№ 20,	7.48	დილ.
„	სამგ.	№ 18,	10.12	სად.
გორიდან	სამგ.	№ 62,	6.34	სად.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.03	დილ.
„	სამგ.	№ 7,	4.12	სად.
„	ჩქარ.	№ 5,	10.40	სად.
თელავიდან		№ 3,	6.24	სად.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 3***,	8.10	დილ.

ექიმი
ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).
მიხეილის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანისა, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.
ერლიხის „914" და „606"
შეშხაპუნება

ექიმი
მ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ —202—)

გოლოვინის პრ. და ხამხელის ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმი
ივანე თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.
ტელეფონი № 11—82.

ექიმი კბილისა
ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა
იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
ჩერქეზიშვილის და რეუტოვის ქუჩის კუთხე № 20.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
ქალანდარიშვილი
უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგულ სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 8.

ექიმი
მ. [illegible]
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი
მ. ფ. მგალობლიშვილი
ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

იყიდება
ორსართულიანი ქვითკირის სახლი
ყოველისფრით შემკული. გამოყვანილია წყალი, გაჭრილია არხი და სხვ.
მინკვიცის ქუჩა № 22.
პირობები იკითხეთ შიო ქუჩუკაშვილთან: ანანურის მისახვევი, № 7.
(6-652-6)

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.
მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმქა
გ. გ. მუხაძე
იღებს [illegible] ავადმყოფთ
საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღის გარდა
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

მიიღება ხელის მოწერა 1917 წ.
საქართველოს „სოციალ-დემოკრატიულ პარტიის" (ავტონომისტთა) გაზეთ
„ხალხის თავისუფლება"-ზე
(წელიწადი პირველი. გამოდის კვირაში ორ ჯერ)
ივ. გომართლის მახლობელი და მუდმივი მონაწილეობით, მუშათა და ჯარისკაც მწერალთა თანამშრომლობით და იოსებ იმედაშვილის რედაქტორობით.
გაზეთის მიზანია: მუშათა ხალხის სამსახური, ეროვნულ საკითხის მუშური თვალსაზრისით გაშუქება, ავტონომისტების გაერთიანება და საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიის პოპულარიზაცია ხალხში.
გაზეთი ღირს: ამა წლის ბოლომდე—5 მან., თითო ნომერი 5 კ. ხელის მოწერა მიიღება რედაქციის საკუთარ ბინაზე (ბაზრის ქ., № 20, ნ. არჯევანიძის სახ. ალექსანდრეს ბაღის თავში) და „სორაპნის" სტამბის კანტორაში, მისამართი: Тифлисъ, Ред. „Халхисъ Тависуфлеба" I. Имедашвили.

1917 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ"-ზე
წელიწადი მეთორმეტე
ჟურნალი „ნაკადული" გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.
ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ
24 წიგნი „ნაკადული"-სა მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი „ნაკადული"-სა მოზრდილთათვის.
ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი
ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.
ფოსტისთვის: Тифлисъ Головинскій пр., 8. შემოსასვლელი დავითის ქ. № 2.
დაწვრილებით ჟურნალში. რედაქტორი ნინო ნაკაშიძე
გამომცემელი თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.
(291—26)

თევზის მრეწველნი
ძმ. ქეჩველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 112.
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. [illegible]", სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მუშთანი" ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიტა მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თარითი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ქარებს (რევმატიზმის),
ნეკრესის
თირკმელების (ჭაჭების)
და სხვა ამგვარ ავადმყოფობის დროს უებარი წამალია „უროდონალ", და მაზი წასასმელი „ატრო", სრულიად უვნებელია და მოქმედობს ძლიერ კარგად. ფასი „ურდონალისა" ხუთი მანეთი და მაზისა სამი მანეთი. მთელი წამლობისათვის საჭიროა ოთხი ფლაკონი „ურდონალი" და ოთხი კოლოფი მაზი „ატრო". სხვა ქვეყნებში იგზავნება ხუთ მანეთის ზეს შემდეგ. დასაკვეთად და მოსალაპარაკებლად უნდა მიმართოთ მხოლოდ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებას.
თბილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 16: გან. 6—9, სახელმწიფო ბანკის მახლობლად.
Тифлисское Отдѣленіе Парижской-фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Мемиковская № 16, отд. 6—9. Противъ Государственнаго Банка.

სტამბა „ცხოვრება" ასლან კაკაბაძისა, გაზეთის შესახვევი № 4.